27 ოქტომბერი — საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების დღე!



# გარეჯის მაცნე

საგარეჯო

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №13-14(51-52) 2013 წ. ივლისი ფასი 1 ლარი

## ალოობა — 2013

## მკათათვე ივრისპირეთში



საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ველ-მინდვრებში ძალებს იკრებს 2013 წლის მკათათვე. ცხელი ამინდები ხელს უწყობს და უფრო და უფრო ჩაღდება ალოობა. წლის მოსავალს იღებენ და აბინავებენ მიწათმოქმედები. ოფიციალური მონაცემებით, წელს ჩვენს მხვნელ-მთესველებს მუნიციპალიტეტში 4300 ჰექტარზე ეთესათ საშემოდგომო თავთავიანები, აქედან ქერი 1400 ჰექტარზე და დანარჩენზე საშემოდგომო ხორბალი. იმავე მონაცემებზე დაყრდნობით 3 ივლისის მდგომარეობით საშემოდგომო ქერი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღებული იყო ნათესების 90%-ზე, საიდანაც გამოლეწილი მარცვლის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობამ 0.8-1 ტონა შეადგინა.

როგორც ცნობილია, ქერს ყოველთვის ხორბალზე ადრე იღებენ ხოლმე. 24 ივნისიდან კი მუნიციპალიტეტში გაიჭრა ხორბლის ყანებიც. იმავე 3 ივლისის მდგომარეობით ეს კულტურა 3900 ჰექტრიდან აღებული იყო 10%-ზე, საიდანაც საშუალო საჰექტარო მოსავლიანობამ შეადგინა 2 ტონა მარცვლეული.

იმის გასარკვევად, თუ როგორ მიმდინარეობს მუნიციპალიტეტში საშემოდგომო თავთავიანების მოსავლის აღება და როგორ მოსავალს უნდა მოველოდეთ , სამ ივლისს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსთან, აგროინჟინერიის მეცნიერებათა აკადემიურ დოქტორთან ნიკოლოზ ჯავახიშვილთან, მის თანამშრომლებთან: გივი მათიაშვილთან და აკაკი დეკანოზიშვილთან ერთად ამ სამსახურის მანქანით გეზი საგარეჯოს მინდვრებისკენ ავიღეთ.

ჩაცდებით თუ არა საგარეჯოს რკინიგზის სადგურის დასახლებას,ყველგან,გზის ორივე მხარეს მდინარე იორამდე, თუ ივრის ხიდის იქითაც ყველგან ალოობის სუნი ტრიალებს. ივრის სარწყავი სისტემის მარჯვენა მაგისტრალიდან შარაგზა გორაკიან აღმართებს მიუყვება. ქარსაფარ ზოლებში გარეჯელთა დასიცხულ საქონელს შეუფარებია თავი. თვალში გვხვდება „შევაშლებული“ ჭერმები, მაშინ, როცა დაბალ ადგილებში ეს ხილი მოილია.

მანქანამ აღმართიანი გზა მოილია და გადაივაკა თუ არა, გაშლილ მინდორზე ქარვისფერ ყანაში „შეცურებულ“ „კლასის“ ტიპის კომბაინს და მის მომლოდინე მანქანებს მოვკარით თვალი. დაუყოვნებლად მათკენ ვიღებთ გეზს. გია ოკინაშვილის კუთვნილ ყანაში მისივე კომბაინით მომუშავე დავით როჭიკაშვილი და მძღოლი სოსო ბაქარაშვილი აღმოჩნდნენ. ნამკალის კედლიდან





არათანაბრად განვითარებული ყანა ჩანს — აღმართიან ადგილებში დაბლობზე მდგართან შედარებით მაღალი. კომბაინერებთან ვერ ვარკვევთ ყანების ფართობებს, თუმცა, როგორც ისინი ვარაუდობენ ჰექტარზე საშუალოდ ორ ტონამდე გამოსავლიანობას მოელიან.

„მელის გორიდან“ გეზს „გველის წყაროსკენ“ ვიღებთ. გზადაგზა გვხვდება მზესუმზირის დამუშავებულ-დაუმუშავებელი ნათესები. უფრო მეტად გზის მარცხენა მხარეს დაგვალული, თითქმის მიწისპირა ყანის პატრონის ბედი გვაინტერესებს — როგორ შეძლებს კომბაინი ამ ყანის აღებას, ან რისი იმედი უნდა ჰქონდეს პატრონს, გაუსწორებს კი მოსავალი გაწეულ ხარჯებს?! საერთოდ, როგორც ჩანს ან ამ ყანების პატრონებმა დააკლეს მათ ხელი და მოვლა-პატრონობა, ან ეს მიწებია მოუსავლიანი. უფრო მეტად ჩვენი აზრი იქით იხრება, რომ ან სათესლე მასალა არ ვარგოდა, ანდა ფინანსური და სხვა პრობლემების გამო მისმა პატრონებმა ვერ შეძლეს ნათესებში სათანადო აქგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარება.

ესეც „გველისწყარო“. შორიდანვე გამოჩნდა მოხნულ-დამუშავებული და დაუთესავი ფართობების თავში გადაშლილ ყანაში მომუშავე „ნიუ ჰოლანდის“ ტიპის კომბაინი და მისკენ მივეშურებით. ეს ადგილები საგარეჯოელებისგან მცხეთის საპატრიარქოს შეუძენია. აქვე დაგვხვდა მათი წარმომადგენელი მამაო ექვთიმე. როგორც წინა ყანები, ეს ნათესიც დაგვალული და განუვითარებელია, 1 ტონა მარცვალს ან გაასწორებს ან არაო, — „პროგნოზირებს“ კომბაინერი.

სათაფლესკენ უკან მიმავალ გზაზე უდაბნოს მეურნეობის ყოფილ დირექტორს ალექსი (ლექსო) იოსელიანს შევხვდით. როგორც მასთან საუბარში გაირკვა,იმავე საპატრიარქოს გვერდით შარშან 24 ოქტომბერს დაუთესია გორის ბაზიდან წამოღებული 16 ტონა „ჯაგერის“ ხორბალი, გაზაფხულზე ჩაუტარებია ნათესის გამოკვება, ვიტამინით წამლობა, რის საერთო ხარჯებიც 30 ათასი ლარია, მაგრამ მოსავალი ისეთია, რომ ამ დანახარჯებს თუ გაასწორებს, მადლობელი უნდა დავრჩე, თანაც ეს 16 ტონა ხორბალი უკან მაქვს დასაბრუნებელი გორშიო.

უდაბნოს შარაგზის მარჯვენა და სათაფლესკენ მიმავალი გზის მარცხენა მხარეს ქარსაფარი ზოლის გასწვრივ შედარებით კარგად განვითარებული ყანები გვხვდება, რომელთაც სოფლის გადასახედამდე მზესუმზირის მეტ-ნაკლებად განვითარებული ნათესები მოსდევს. ნათესებს შორიდან ემჩნევათ პატრონის ხელი. ისე, თუ წვიმები დაიჭირა, მოსავლის იმედი ნამდვილად უნდა ჰქონდეთ მის პატრონებს, არადა, ალბათ ზემოხსენებული ყანების პატრონების ბედი ელით მათაც.

ზემოთნახსენები ყანების შემდგომ სათაფლელების სანახებში ხორბლის მართლაც საუკეთესო ყანები გვხვდება, როგორც ჩანს მათ პატრონებს „ლომთაგორის“ ხორბალი დაუთესავთ, რომლის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა 5-6 ტონაა და აქაურებიც კარგ მოსავალს უნდა ელოდნენ. საერთო ჯამში, ასეა თუ ისე, იმ ერთი ანდაზისა არ იყოს, — ყველაფერს პატრონობა უნდაო და თუ რა შედეგებით დასრულდება წლევანდელი ალოობა ჩვენი მხვნელ-მთესველებისათვის, ამის შესახებ ჩვენი გაზეთის მომავალ ნომრებში გაცნობებთ.

*გ. დაბახიშვილი*



## სოფლის მეურნეობის მინისტრი საგარეჯოში

სამშაბათს, 2 ივნისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი შალვა ფიფია, სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილე მიხეილ სოხაძისა და სამინისტროს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად საგარეჯოს ეწვია.

ქვეყნის სოფლის მეურნეობის პირველი პირის საგარერჯოში ვოიაჟის მიზეზი მუნიციპალიტეტში პირუტყვის თურქულზე ვაქცინაციის მიმდინარეობა გახლდათ. ამ მიზნით იგი შეხვდა ქალაქის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულს მარიკა თოლომაშვილსა და ქალაქის საკრებულოს თანამშრომლებს. გამოიკითხა, თუ როგორ მიმდინარეობს მოსახლეობის პირუტყვის თურქულზე ვაქცინაცია.

თავის მხრის მინისტრის შეკითხვაზე დადებითი პასუხის გაცემის შემდეგ ტერიტორიული ორგანოს თანამშრომლები დაინტერესდნენ მოსახლეობის ნაწილისათვის დაურიგებელი სასოფლო-სამეურნეო ბარათების ბედით,რის გარკვევასაც შალვა ფიფია ახლო მომავალში დაპირდათ.

ქალაქის ტერიტორიული ორგანოს თანამშრომლებთან შეხვედრის შემდეგ შალვა ფიფია და მისი თანმხლებნი სურსათის უვნებლობისა და ვეტერინარიის საგარეჯოს სამსახურის უფროს ჯიმშერ ოსიაშვილთან ერთად საგარეჯოელი ზაქარია ფირყულაშვილის საქონლის ფერმაში მსხვილფეხა პირუტყვის ვაქცინაციას დაესწრნენ.

*გ. დაბახიშვილი*

## მუნიციპალური გვერდი

# გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება

27 ივნისს საგარეჯოს დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გაიმართა საჯარო შეხვედრა, სადაც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარემ **ილია ჭიაურელმა** საზოგადოებას საკრებულოს მუშაობის ანგარიში წარუდგინა. როგორც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის დემოკრატიული ჩართულობის კოორდინატორმა ქეთი სიბაშვილმა განმარტა, შეხვედრის მიზანი იყო ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის გამჭვირვალობა. ეს შეხვედრა პასუხობს ადგილობრივი საზოგადოების ინტერესს – გაიგოს მეტი 2013 წლის საგარეჯოს ბიუჯეტის ძირითადი პრიორიტეტების შესახებ. შეხვედრა ასევე დაეხმარება საზოგადოებას იმის გარკვევაში, თუ რამდენად აკმაყოფილებს ბიუჯეტის შესრულება კანონითა და მთავრობის შესაბამისი ბრძანებულებებით განსაზღვრულ მიზნებსა და პირობებს, რამდენად ეფექტურად და მიზნობრივად იხარჯება ადგილობრივი ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურის, სოფლის მეურნეობის, განათლების, სპორტის, ჯანდაცვისა და სოციალური სფეროებისათვის განკუთვნილი თანხები და რა სიახლეებია დაგეგმილი ამ მიმართულებით.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ილია ჭიაურელის მიერ ანგარიში კი ასეთი სახით იყო წარმოდგენილი.

**საკრებულოს სტრუქტურა**

საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობა –30 წევრი.

საჯრებულოს თავმჯდომარე **ილია ჭიაურელი**

თავმჯდომარის მოადგილე **პაატა ბუზარიაშვილი**

8 ფრაქცია, 5 კომისია.

**ფრაქციები:**

**ფრაქცია „ნაციონალი"** თავმჯდომარე – **გიორგი ფირყულაშვილი**

**წევრები**: ჰაჯან ალიევი
ვექილ ვექილოვი
შოთა ხუნაშვილი

**ფრაქცია „მაჟორიტარი"** თავმჯდომარე– **ზაზა ჭიაბერაშვილი**

**წევრები**: ივანე გძელაშვილი
ნიკო ნახუცრიშვილი
ვაჟა ჯავახიშვილი
ორუჯ კულიევი
ილხამ კაიბოვი

**ფრაქცია „თანადგომა"**

თავმჯდომარე – **კახაბერ ლაფერიშვილი**

**წევრები**: გელა კევლიშვილი
ვაჟა ბაზერაშვილი
ეკა ბუზარიაშვილი

**ფრაქცია „იმედი"**

თავმჯდომარე – **ივანე გრძელიშვილი**

**წევრები**: დათო როსტომაშვილი
ჯემალ წიკლაური
ზურა ქურთიშვილი

**ფრაქცია „დემოკრატები"**

თავმჯდომარე – **გოჩა ჩერქეზიშვილი**

**წევრები**: დავით არაბული
მაიზერ გუჯეჯიანი

**ფრაქცია „თავისუფლება"**

თავმჯდომარე – **ნოდარ ზირაქაშვილი**

**წევრები**: თენგიზ ძირკველიშვილი
გოგი ობოლაშვილი

**ფრაქცია „ თანადგომა – ბიძინა ივანიშვილს"**

თავმჯდომარე – **ლეილა ოტიაშვილი**

**წევრები**: ნელი ქაიხოსროშვილი
გიორგი ბაღდადაშვილი.

**ფრაქცია"ქართული ოცნება-რესპუბლიკელები"**

თავმჯდომარე – **გელა კევლიშვილი**

**წევრები**: გიორგი მუჩიაშვილი
ილჰამ კაიბოვი

**საკრებულოს კომისიები: 5 კომისია**

**სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისია:**

**თავმჯდომარე – შოთა ხუნაშვილი**

**წევრები**: ივანე გრძელიშვილი
ნელი ქაიხოსროშვილი
ზურაბ ქურთიშვილი
გელა კევლიშილი
დავით არაბული
ჯემალ წიკლაური

**საფინანსო–საბიუჯეტო კომისია:**

თავმჯდომარე – **ზურაბ ქურთიშვილი**

**წევრები**: ეკატერინე ბუზარიაშვილი
ვაჟა ბაზერაშვილი
გიორგი ფირყულაშვილი
ვაჟა ჯავახიშვილი
გელა კევლიშვილი
გიორგი მუჩიაშვილი

**სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების კომისია:**

**თავმჯდომარე – ვაჟა ბაზერაშვილი**

**წევრები**: ივანე გძელაშილი
შოთა ხუნაშვილი
ზაზა ჭიაბერაშვილი
კახაბერ ლაფერიშვილი
ილჰამ კაიბოვი
ორუჯ კულიევი

**ქონების მართვისა და ბუნებრივი**




**რესურსების კომისია:**

**თავმჯდომარე – ივანე გძელაშვილი**

**წევრები**: ზაზა ჭიაბერაშვილი
დავით როსტომაშვილი
გიორგი ობოლაშვილი
კახაბერ ლაფერიშვილი
გიორგი ფირყულაშვილი
ეკატერინე ბუზარიაშვილი
მაიზერ გუჯეჯიანი
ჰაჯან ალიევი
ვექილ ვექილოვი

**სოციალურ საკითხთა კომისია:**

**თავმჯდომარე – ვაჟა ჯავახიშვილი**

**წევრები**: ლეილა ოტიაშვილი
თენგიზ ძირკველიშვილი
ნოდარ ზირაქაშვილი
ნელი ქაიხოსროშვილი
გოჩა ჩერქეზიშვილი
ნიკო ნახუცრიშვილი
გიორგი ბაღდადაშვილი

**საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი:**

2012 წლის 28 დეკემბრის 25 დადგენილებით, 2013 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 5 819,0 ათასი ლარით.

ამჟამინდელი მდგომარეობით ბიუჯეტი განისაზღვრება 7 476,6 ათასი ლარით.

**სუბსიდიები**

ა.ი.პ. „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეგულირების და ლაბორატორიული კვლევის ცენტრის „ დაფინანსება –113,3ათ. ლარი

ა.ი.პ. „სკოლამდელი და სკოლის გარეშე სასწავლო –აღმზრდელობითი დაწესებულებათა გაერთიანება"–1117,5

**სუბსიდიები**

ა.ი.პ. №105 კომპლექსური სპორტსკოლა –35,6

ა.ი.პ. „სპორტული გაერთიანება" – 315,0

ა.ი.პ. „ კულტურის ობიექტების გაერთიანება" –310,9

ა.ი.პ. „ ჯემალ ბურჯანაძის სახელობის სამუსიკო სკოლა" –103,4

ა.ი.პ. „საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება"– 75,0

შპს „გარეჯის მაცნე" –24,0

**პროგრამები**

ინფრასტრუქტურაზე– 946,2ათ.ლარი

საგანმანათლებლო ღონისძიებები– 1117,5 ათ.ლარი

სპორტული და კულტურული ღონისძიებები –858,9

სოციალური და ჯანდაცვის პროგრამა–452,6

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა–997,0

**საკრებულოს სამართლებრივი აქტები დადგენილებები**

2013 წელს მიღებულია 21 ნორმატიული აქტი –დადგენილება. მ.შ. 6 დადგენილება კერძოდ: 1. 5, 12, 14, 18, 20 დადგენილებებით განხორციელდა ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა.

პირველი ცვლილება: შემოსავლები გადასახდელების ნაწილში 2013 წლის 1 იანვრისათის არსებული ნაშთის ხარჯზე შემცირდა 141,0 ლარით, აგრეთვე 2012 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ვალდებულებების დასაფინანსებლად 2013 წლის 1 იანვრისათვის არსებული ნაშთი შემცირდა 319,1 ათასი ლარით და გაიზარდა გადასახდელები.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 13 დეკემბრის 1999 განკარგულებით მუნიციპალიტეტის ანგარიშზე ჩარიცხულ იქნა 300,0 ათასი ლარი რეგიონში განსახორციელებელი პროექტებისათვის, აქედან 259,5 ათასი ლარის სამუშაოების შესრულება ვერ მოესწრო გასულ წელს, ამიტომ 2013 წლის ბიუჯეტში მოხდა ცვლილება და დაიგეგმა ბინების გადახურვაზე. 119,8 ათასი ლარი – საბავშვო ბაღებზე, დანარჩენი საცხოვრებელი ბინების გადახურვა–შეკეთებაზე.

მეორე ცვლილება – შეეხო მუნიციპალიტეტის გადასახდელების ნაწილს. მუხლობრივი ცვლილებების შედეგად, კერძოდ: სკოლამდელების კვების ხარჯი შემცირდა 3,9 ათასი ლარით და გადატანილ იქნა არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში და დასუფთავების ღონისძიებების ზრდის მუხლი შემცირდა 15,0 ათასი ლარით და გატანილ იქნა ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის მუხლში .

მესამე ცვლილება – 2013 წლის 1 იანვრისათვის არსებული ნაშთი შემცირდა 135,9 ათასი ლარით (კერძოდ: დასუფთავების ღონისძიებები – 23,4 ათასი ლარით) სკოლამდელების კვების ხარჯი - 50,4 ათასი ლარით, სათნოების სახლის კვების ხარჯი – 28,2 ათასი ლარით, და გადანაწილდა მ/წლის ინფრასტრუქტურული სამუშაოების დასაფინანსებლად.

მეოთხე ცვლილება – მთავრობის 2013 წლის 4 აპრილის 311 განკარგულებით, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით, მუნიციპალიტეტს გამოეყო საექსპერტო მომსახურების შესყიდვისათვის 99,3 ათასი ლარი.

მეხუთე ცვლილება – არაფინანსური აქტივების კლების მუხლი გაიზარდა 62,5 ათასი ლარით, შესაბამისად ბიუჯეტის შემოსავლები გაიზარდა, რომელიც გადანაწილდა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების და ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესრულებაზე.

მეექვსე ცვლილება - 2013 წლის 17 მაისის 466 განკარგულებით „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა"–ს ფარგლებში მუნიციპალიტეტს გამოეყო 997,0 ათასი ლარი და ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 7476,6 ათასი ლარის ოდენობით.

2 დადგენილება – „მოსახლეობის სოციალური დახმარების 2013 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ", რომლის ფარგლებშიც სოციალურად დაუცველი ჯგუფები მიიღებენ ფულად და სხვა სახის დახამრების. პროგრამის განხორცილების მიზანია საერთო სოციალური ფონის უკეთესობისაკენ შეცვლა.

პროგრამის ბიუჯეტი შედგენს 350 800 ლარს.

1. სოციალურ–ეკონომიურად გაჭირვებულ ოჯახებზე – 60,0 ათასი ლარი.
2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები (18 წლამდე) – 3 800 ათასი ალრი.
3. უდედმამო ბავშვები (18 წლამდე) – 3 650 ათასი ლარი
4. სოციალურად დაუცველი მოქალაქეთა სტაციონარული მკურანლობისათვის – 81,4 ათასი ლარი.
5. სამამულო ომის ვეტერანების სადღესასწაულო დახმარება და სარიტუალო ხარჯი – 8,0 ათასი ლარი. მათ შორის: სადღესასწაულო დახმარება 3,9; სარიტუალო ხარჯი 4,1.
6. სტიქიური უბედურობის შედეგად დაზარალებულები – 1,8 ათ.ლარი
7. უპატრონო მიცვალებულების ხარჯი –1,2 ათ.ლარი
8. ხანდაზმულთა ოფისის დაფინანსება– 10,0 ათ.ლარი
9. უფასო სასადილოს დაფინანსება– 181,0ათ. ლარი

№11 დადაგენილებით შევიდა ცვლილება №2 დადგენილებაში და დაემატა მუხლი: მუნიციპალიტეტის შესაბამისი სტრუქტურების დასკვნის გათვალისწინებით შესაძლებელია დაფინანსების ზღვრული ოდენობის დადგენა.

№3 დადგენილება – „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და განაკვეთის განსაზღვრის შესახებ."

ამ დადგენილებით განისაზღვრა გადასახადის განაკვეთები კერძოდ:

1)სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწებზე ქონების გადასახადი ერთ–ჰა–ზე შეადგენს:

სათიბებზე–19ლარს, საძოვრებზე–16ლარს, სახნავ მიწებზე–79ლარი.

2)არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწებზე 1კვ.მ–ზე

ა)ქ.საგარეჯოში–0,096

ბ)სოფლებში–0,072

გ)სხვა სოფლებში–0,048

№17 დადგენილებით შევიდა ცვლილება №3 დადგენილებაში და დაემატა მუხლი, რის საფუძველზეც, ქონების გადასახადიდან გათავისუფლდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე საცხოვრებელ სახლებზე მიმაგრებული და მრავალბინიან სახლებში მცხოვრები ფიზიკური პირების საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთები და ავტოფარეხების მიმაგრებული მიწის ნაკვეთები.

№4 დადგენილება – „მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ზონირების, ნორმატიული ფასის და წლიური საიჯარო ქირის დადგენის შესახებ" რის საფუძველზე საგარეჯოს მუნიციპალიტეტი დაიყო :

1)ცენტრალური ზონა–1,3

2)შუალედური–1,0

3)პერიფერიული–0,7

შესაბამისად განისაზღვრა ქ.საგარეჯოში მიწის ნორმატიული ფასი და საიჯარო ქირა დადგინდა.

1)ცენტრალური ზონა–7,02ლ–0,936

2)შუალედური ზონა –5,40ლ–0,36

3)პერიფერიული ზონა –3,78ლ–0,101

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლებში მიწის ნორმატიული ფასი შუალედური ზონისთვის შეადგენს 2,16 ლარს დასახლებათა, ზონის არეალში 1,35 ლარს.

№6; №7; №8; №9; №10;№13 დადგენილებებით–მუნიციპალიტეტის გამგეობაში რეორგანიზაციასთან დაკავშირებით ცვლილებები შევიდა გამგეობის და მისი სამსახურების დებულებებში. კერძოდ: ადმინისტრაციული, ბიუჯეტის დაგეგმვისა და ადგილობრივი ფინანსების მართვის, სოციალური სამსახურების დებულებებში, ძალადაკარგულად გამოცხადდა სოფლის მეურნეობის განვითარებისა და კულტურის ,განათლების, სპორტის,ძეგლთა დაცის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულებები.

15 დადგენილებით დამტკიცდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურში პირადი შემადგენლობის სამსახურის გავლის წესი. რის საფუძველზე დგინდება სამსახურებრივი უფლება – მოვალეობები, მოსამსახურეთა თანამდებობებათა დასახელება. აღნიშნული წესის შესაბამისად, „სახანძრო უსაფრთხოების შესახებ" კანონის თანახმად, განისაზღვრა მეხანძრე – მაშველის თანამდებობაზე სამუშაოზე მიღების ასაკი (18 დან–35 წლამდე), ასევე საგანგებო სიტუაციების მართვის ორგანოს თანამშრომელთათვის ზღვრული ასაკი დადგინდა 65წელი, ხოლო მეხანძრე –მაშველისათვის 55 წელი.

19 დადგენილებით მიღებულია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებისა და გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიღების წესი. შესაბამისად მუხლობრივად ჩამ-

*დასასრული მე-3 გვერდზე*



# მუნიციპალური გვერდი

## გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება

**დასასრული**

ოყალიბებულია რეკლამის განთავსების ნებართვა, ნებართვის მიღების წესი, გაცემის პირობები, რეკლამის განთავსების სანებართვო მოწმობის ფორმა, მოწმობის შევსებისა და გადაცემის წესი და სანებართვო მოწმობის წარმოების და აღრიცხვა – ანგარიშგების წესი.

21 დადგენილებით მიღებულია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვისა და ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესი. განსაზღვრულია მუხლობრივად აუქციონის ჩატარების ორგანიზება, მონაწილეობის პირობები, გარიგებათა გაფორმების წესი, მხარეთა უფლებები და მოვალეობები და ანგარიშსწორება.

**განკარგულებები**

2013 წელში სულ მიღებულია 44 განკარგულება.

მ.შ. 1, 25, 34 განკარგულებით შექმნილია სამი ფრაქცია: „თავისუფლება" „თანადგომა – ბიძინა ივანიშვილს," „ქართული ოცნება – რესპუბლიკელები".

3, 19, 24, 42 განკარგულებებით განისაზღვრა საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა.

4, 5, 6, 26, 30, 32 განკარგულებით მოწესრიგდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კერძოდ: აიპ „სკოლამდელი და სკოლისგარეშე სასწავლო სააღმზრდელო დაწესებულებათა გაერთიანების" „კულტურის ობიექტების გაერთიანების", „№105კომპლექსური სპორტ–სკოლის", „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის " სახელფასო განრიგები და საშტატო ნუსხა.

12 განკარგულებით საკრებულოს წევრს კობა ცხვარიაშვილს, საკრებულოს წევრისათვის შეუთავსებელ თანამდებობაზე დანიშვნასთან დაკავშირებით შეუწყდა უფლებამოსილება ვადამდე.

20, 22, 44 განკარგულებით ქონების განკარგვა, ფართის დროებით სარგებლობაში გადაცემა.

27, 28 განკარგულებით მოსმენილ იქნა შ.პ.ს. „გარანტი"–ს აუდიტორის ნათელა ჭიაბერაშვილის ანგარიში და დამტკიცდა 2012წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, ასევე მოსმენილ იქნა 2013 წლის 1 კვარტლის ანგარიში.

31 განკარგულებით შ.პ.ს. „ტრანსპორტი"–სთვის გადცემული ქონება დაუბრუნდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტს.

35 განკარგულებით შევიდა ცვლილება ადგილობრივი შესყიდვების გეგმაში .

15 განკარგულებაა მიღებული მოსახლეობის მიერ შემოტანილი განცხადების საფუძველზე საცხოვრებელი ბინებისათვის ნომრის მინიჭების შესახებ.

**ბრძანებები**

სულ 2013 წელში გამოცემულია 109 ბრძანება. მათ შორის:

მუნციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ;

გადაუდებელი აუცილებლობით გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შესახებ;

მუნიციპალური ქონების განკარგვის შესახებ;

სამუშაო ჯგუფების შექმნის შესახებ;

საკრებულოს მორიგი და რიგგარეშე სხდომების მოწვევის შესახებ;

მოხელეთა მივლინებისა და შვებულებების შესახებ;

ასევე აღსრულდა ქ.თბილისის საქალაქო სასამართოს სისხლის სამართლის კოლეგიის გაჩინება და საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანამდე თანამდებობიდან გადაყენებულ იქნა ამჟამად ბრალდებულ გიორგი ლოლაძე და გამგებლის მვალეობის შესრულება დაევალა მის მოადგილეს ცისმარი თედიაშვილს.

**საჯარო ინფორმაცია**

2013 წლის 1 იანვრიდან 24 ივნისის ჩათვლით სულ შემოსულია და პასუხგაცემულია (აქედან 3 შუალედური პასუხი) 15 განცხადება და 18 მომართვა საჯარო ინფორმაცის მოთხოვნით აქედან:

7 განცხადება სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების კოორდინატორის ქეთევან კოხტაშვილის.

8 განცხადება მოქალაქეებიდან;

3–საინფორმაციო ცენტრების ქსელიდან;

2–საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციიდან;

1–ჯანდაცვის სამინისტროდან;

1–სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან;

2–ადგილობრივი დემოკრატიისა და განვითარების ცენტრიდან;

3–საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოდან;

2–საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროდან;

1–საქართველოს მთავრობის კანცელარიდან;

1–ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან;

1–ტელეკომპანია „მეცხრე არხი" ჟურნალისტის კახა კუპატაძე.

**საქმის წარმოება**

შემოსული კორესპონდენცია

1.ადგილობრივი შემოსული წერილები –117

2.რეგიონიდან შემოსული წერილები –22

3.ზემდგომიდან შემოსული წერილები–41

4.კოლექტიური განცხადებები–5

5.განცხადებები–57

წარმოდგენილი ანგარიშის შემდეგ შეხვედრის მონაწილეებმა შეკითხვები დაუსვეს ანგარიშის წარმომდგენს.

მაგრამ, საინტერესო და საკითხავი ის იყო, თუ ხალხს, საზოგადოებას აინტერესებდა საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, სად იყო ანგარიშის მოსმენით დაინტერესებული საზოგადოება, რომელსაც ანგარიშის განხილვისათვის საჯარო ხასიათი უნდა მიეცა. აქ მხოლოდ საკრებულოს თანამშრომლები, დეპუტატები და თითო- ოროლა, ალბათ 3-4 კაცი იყო იმ საზოგადოებიდან, რომელიც დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუშაობის ანგარიშის მოსასმენად უნდა მოსულიყო. სხვა დროს იქნებ ჯობდეს დემოკრატიული ჩართულობის ცენტრმა საზოგადოების ინფორმირებისათვის მეტი ბერკეტები გამოიყენოს, საგარეჯოს საზოგადოებამ კი მეტი აქტიურობა გამოიჩინოს დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გამართულ ღონისძიება-შეხვედრებში მონაწილეობის მისაღებად.

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომები

**2013 წლის 28 ივნისის** საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას უძღვებოდა ამავე საკრებულოს თავმჯდომარე **ილია ჭიაურელი.** სხდომას 22 დეპუტატი ესწრებოდა.

დღის წესრიგის I საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ*** **ილია ჭიაურელმა**. როგორც მან აღნიშნა:

საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ" მე–20–ე მუხლის მე–4 პუნქტის საფუძველზე ცვლილება შევიდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტში და მისი მოცულობა განისაზღვრა 7563.0 ათასი ლარის ოდენობით. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები, კერძოდ, ჯარიმებიდან მიღებული შემოსავლების გეგმა გაიზარდა 86,4 ათ. ლარით, რომლის შემოსავლებმაც 2013 წლის 6 თვეში გადააჭარბა წლიური გეგმის 95 %–ს.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის ხარჯები ასევე გაიზარდა 86,4 ათ. ლარით. აქედან:

– საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯი გაიზარდა 0,5 ათ. ლარით. აქედან ადმინისტრაციული სამსახურის ხარჯები, სხვა საქონელი და მომსახურების მუხლით, გაიზარდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტსა და პოლონურ არასამთავრობო ორგანიზაცია „ედუკატორ ჯორჯიას" შორის „ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერა სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდისათვის" ფარგლებში, მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ვალდებულებებიდან გამომდინარე იორმუღანლოს ზონაში გასნილი 2 ალტერნატიული ჯგუფის კომუნალური ხარჯების დასაფარავად გამოყოფილი 1,5 ათ. ლარით. ხოლო სარეზერვო ფონდი შემცირდა, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით, მოქალაქე სულიკო ხუციშვილის მოხუცთა პანსიონში შენახვის ხარჯების დაფარვის მიზნით ა(ა)იპ „თაობათა კერა"–სათვის გადარიცხული 1,0 ათ. ლარით.

– საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის ხარჯები გაიზარდა სამაშველო სამსახურის პირადი შემადგენლობისათვის უნიფორმის შესაძენად გამოყოფილი 4,9 ათ. ლარით.

– სოციალური დაცვის, კერძოდ სოციალურად დაუცველი პირების დახმარების ხარჯები გაიზარდა 81,0 ათ. ლარით (მ.შ. სარეზერვო ფონდიდან გადმოტანილია 1,0 ათ. ლარი).

დღის წესრიგის შემდეგ საკითხზე „აიპ კულტურის ობიექტების გაერთიანების 2013 წლის ექვსი თვის ანგარიშის საკრებულოს სხდომაზე განხილვის თაობაზე" ***გააკეთა აიპ კულტურის ობიექტების გაერთიანების დირექტორმა*** **ბესო ღვინაშვილმა.** მანვე გააკეთა მოხსენება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „კულტურის ობიექტების გაერთიანებაში შემავალი დაწესებულებების საშტატო განრიგისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ" საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 27 იანვრის №8 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საგარეჯოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის 2013 წლის ხუთი თვის ანგარიშის საკრებულოს სხდომაზე განხილვის თაობაზე" საკრებულოს წინაშე მოხსენება გააკეთა აიპ ***საგარეჯოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორმა*** **ლელა ოთარაშვილმა.**

შპს „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთ „გარეჯის მაცნეს" 2013 წლის 6 თვის ანგარიშის მოსმენის შესახებ" მოხსენება გააკეთა ამავე შპს-ს დირექტორმა თინათინ ილაურმა.

სხდომის მონაწილეებმა მოისმინეს სხვადასხვა საკითხები, იმსჯელეს მოსმენილ საკითხებზე და მიიღეს შესაბამისი დადგენილებები.

სხდომამ იმსჯელა სხვადასხვა საკითხებზე და მიიღო შესაბამისი დადგენილებები.

* * *

**2013 წლის 9 ივლისს** საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას ამავე საკრებულოს თავჯდომარე **ილია ჭიაურელი** უძღვებოდა. დღის წესრიგის პირველ საკითხზე " საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის არჩევნებთან დაკავშირებით საარჩევნო პლაკატების გასაკრავად (გამოსაფენად) ადგილების განსაზღვრის შესახებ" მოხსენება გააკეთა ბ-მა **ილია ჭიაურელმა**. როგორც მან აღნიშნა 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო პლაკატების გამოსაკრავად განისაზღვრება შემდეგი ადგილები:

ა) კულტ- სახლების ფასადები და მათი კაპიტალური მესერი.

ბ) სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმართველობის მიერ დაფუძნებული სასწავლო – აღმზრდელობითი დაწესებულების კაპიტალური მესერი.

გ) სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმართველობის საკუთრებაში (მფლობელობაში) არსებული შენობა- ნაგებობები და მათი კაპიტალური მესერი. გარდა მისი ადმინისტრაციული შენობებისა. აგრეთვე მათ მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საკუთრებაში ( მფლობელობაში) არსებული შენობა-ნაგებობები და მათი კაპიტალური მესერი.

დ) სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე განთავსებული ღამის განათების ბოძებზე - სამი მეტრის სიმაღლემდე დაშვებით, მაგრამ ბოძზე დამონტაჟებული კვანძებთან, სადენებთან და სხვა ელ- მოწყობილობებთან არაუმეტეს ერთი მეტრის სიახლოვისა.

აკრძალულია საარჩევნო პლაკატების გაკვრა საკულტო ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების (მის: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ №9), სასამართლოს (მის: ქ. საგარეჯო, ნ. ფიროსმანის №7), პროკურატურის (მის: ქ. საგარეჯო, კახეთის გზატკეცილი №110), სამხედრო შენაერთებისა (მის: სოფ მუხროვანის სამხედრო ბაზა, სოფელ პალდოს სამხედრო ბაზა) და პოლიციის (მის: ქ. საგარეჯოს, კახეთის გზატკეცილი №110) შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში.

სხდომის დღის წესრიგის მეორე საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი შესყიდვის გეგმის დამტკიცების შესახებ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის №91 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" მოხსენება გააკეთა ამავე ***საკრებულოს თავმჯდომარემ*** **ილია ჭიაურელმა.**

სხდომამ იმსჯელა სხვადასხვა საკითხებზე და მიიღო შესაბამისი დადგენილებები.

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თათბირები



**2 ივლისი, 2013წ.**

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს ამავე გამგეობის ***გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი*** **ცისმარ თედიაშვილი** უძღვებოდა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულებმა თათბირზე სწორედ იმ საკითხების წარმოჩენა შეძლეს, რომელთა გადაჭრა დღის წესრიგის ნომერ პირველი ამოცანაა. მათ კიდევ ერთხელ გადახედეს სოფელის მოსახლეობის მიერ პრიორიტეტულ საკითხებად დაყენებულ პრობლემებს და იმსჯელეს ამ პროექტში მცირეოდენი ცვლილებების შეტანაზე.

**9 ივლისი, 2013 წ.**

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის 9 ივლისის სხდომას ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი*** **ცისმარ თედიაშვილი** უძღვებოდა. როგორც ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულებმა აღნიშნეს, მზისგულში, ბადიაურში, ლამბალოსა და მანავში უმეთვალყურეოდ დატოვებული სარწყავი წყლით ისე დაიტბორა ვენახებთან მისასვლელები, რომ გლეხები ვენახების შესაწამლად ვენახებში ვეღარ შედიან. განსაკუთრებით ჭირს ტრანსპორტითაც გავლა იმ ადგილებში, სადაც „სილქნეტმა" და „სოკარმა" თავიანთი სამუშაოების შესასრულებლად გადათხარეს გზები და მოუწესრიგებელი დატოვეს. მათ მიერ გათხრილი ადგილები სარწყავი წყლისაგან დაიტბორა, ზოგ ადგილას კი წყალმა გასასვლელი იპოვა და „კალაპოტში" მოექცა. ანალოგიური მდგომარეობაა წყაროსთავის, ნინოწმინდის, გიორგიწმინდის, ჩაილურელი მოსახლეობის ვენახებთან და ბოსტნებთან მისასვლელ გზებზე. როგორც აღმოჩნდა, მარჯვენა და მარცხენა მაგისტრალური სარწყავი არხები გაიწმინდა, რამაც გამოიწვია წყალგამტარიანობის გაზრდა. უმეთვალყურეოდ, სათანადო ტექნიკური აღჭურვილობის (ჩამკეტი ფარები) გარეშე დარჩენილი მაგისტრალური არხიდან გადმოსული სარწყავი წყალი კი სარგებლობის მაგიერ ზიანს აყენებს მოსახლეობას.

თათბირზე, ასევე, ზეპირი ინფორმაციები გააკეთეს ***მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა*** **სოსო თედიაშვილმა,** ***საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსმა*** **ნიკო ჯავახიშვილმა**, ***გამგეობის ეკონომიკის განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსმა*** **მაია ტიგინაშვილმა** ცალკეულ ტერიტორიულ ორგანოებში არსებულ პრობლემებზე.

თათბირზე განსაკუთრებით გაესვა ხაზი ცალკეულ ტერიტორიულ ორგანოებში სასმელი წყლის პრობლემების მოგვარების გზების ძიებას.

ასევე, ყურადღება გამახვილდა კალიების მასშტაბურ შემოსევებზე ყანდაურისა და ბადიაურის მოსახლეობის კუთვნილ ვენახებსა და ბოსტნებში, დაისახა ამ პრობლემების გადაჭრის ღონისძიებები.

## კალიები ყანდაურისა და ბადიაურის ზვრებსა და ბაღებში

კალიებმა კვლავ შეახსენეს თავი კახელებს. როგორც სურსათის ეროვნული სააგენტოს კახეთის რეგიონალური სამმართველოს მცენარეთა დაცვის სპეციალისტმა **ლოლა დათუნაშვილმა** გვითხრა, კალიები პირველად ე.წ. „ირანელთა" 5 ათასი ჰექტარი მიწის ფართობზე გამოჩნდნენ. შემოწმების შემდეგ 13 ივნისს აქ პირველი სამთავრობო ღონისძიება გატარდა – შეიწამლა ის 66.5ჰა მიწა, რომელზეც კალიები იყვნენ „დაბანაკებული". ახლა კი, 8 ივლისს ყანდაურის და ბადიაურის მოსახლეობიდან მოვიდა შეტყობინება. კალიები კვერცხდების პერიოდში არიან, ე.ი. ისინი მეხუთე-მეექვსე ასაკში არიან, მათ ამ ასაკში ნაკლებად აინტერესებთ კვება და ამდენად, ნაკლებად აზიანებენ ნათესებს, ვიდრე სხვა დროს. ისინი ეძებენ საჭირო ადგილს კვერცხის დასადებად. მანამდე კი აქაც გატარდება სამთავრობო ღონისძიება და შესაბამისად დამუშავდება ტერიტორია.

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტი
# ტერიტორიული ორგანო
# წყაროსთავი



დეპუტატი ვანო გრძელაშვილი



წყაროსთავის და ნინოწმინდის ტერიტორიული ორგანოების ადმინისტრაციული შენობა



საჯარო სკოლის დირექტორი მაია ნადირაძე

მთლიანი ფართობი:
2885,5 ჰა.
აქედან:
სახნავ-სათესი – 923 ჰა
მრავალწლიანი ნარგავები – ვენახი – 7 ჰა;
სათიბი – 70,5 ჰა.
საძოვარი – 1340 ჰა.
მოსახლეობა: კომლი – 574
აქედან:
სოფელთან კავშირგაწყვეტილი – 294
მუდმივადმაცხოვრებელი – 280
რაოდენობა – 1200 კაცი.

სოფელში ფუნქციონირებს საჯარო სკოლა (მენეჯერი მაია ნადირაძე), რომელიც 8756,1 მ2 ფართობზეა განფენილი. სკოლაში 9 საკლასო ოთახია. აქ 83 მოსწავლის აღზრდას 21 პედაგოგი ემსახურება. სკოლის შენობა გარემონტებულია, ახალი სასწავლო წლისათვის აქ სარემონტო სამუშაოების ჩატარების აუცილებლობა არ არის.



რწმუნებულის თანაშემწე გიორგი ჭაგჭანიძე



რწმუნებული გიორგი კერატიშვილი

საბავშვო ბაღის (მენეჯერი რიტა ბაქანიძე) შენობა 1045 მ2 ფართობზეა. საბავშვო ბაღის შენობა გარემონტებულია, აქ სამი ოთახია. 25 აღსაზრდელის აღზრდას პედაგოგ-აღმზრდელი ქეთი ქავთარაძე და აღმზრდელის თანაშემწე ლენა დათუნაშვილი ემსახურება. სოფელს არ აქვს კლუბი და ბიბლიოთეკის ცალკე შენობა. აქ ბიბლიოთეკა (ბიბლიოთეკარი ნინო ოკინაშვილი) საჯარო სკოლის ერთ-ერთ ოთახშია განთავსებული.



წყაროსთავის საჯარო სკოლა



საბავშვო ბაღის შენობა და ეზო

სოფლის მოსახლეობის ჯანმრთელობას ემსახურება ნინოწმინდის საექიმო ამბულატორიის თერაპევტი ზაირა აგულაშვილი და ასევე ამბულატორიის პედიატრი – ნანა შაშვიაშვილი. წყაროსთაველებს დღემდე არ აქვთ საექიმო ამბულატორია.

თავად წყაროსთავის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელობა ნინოწმინდის ადმინისტრაციულ შენობაშია განთავსებული ნინოწმინდის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელობასთან ერთად.

ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულია **გიორგი კერატიშვილი.** დაიბადა 1977 წელს. 1993 წელს დაამთავრა წყაროსთავის საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო ეკონომიკის ინსტიტუტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე. ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულია 2012 წლის დეკემბრიდან.

ტერიტორიული ორგანოს დეპუტატია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში **ივანე გრძელაშვილი**, რომელიც არის ამავე საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე და ამასთან, ნინოწმინდის ტერიტორიული ორგანოს დეპუტატი მუნიციპალიტეტის საკრებულოში.

როგორც ჩვენთან საუბარში აღნიშნა წყაროსთავის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულმა გიორგი კერატიშვილმა:
– სოფლის პრიორიტეტული საკითხების ჩამოყალიბებისათვის სოფლის მოსახლეობამ აქტიური მონაწილეობა მიიღო. იმისდა მიუხედავად, რომ სოფელში პრობლემები ბევრია, პრიორიტეტულ საკითხებად გამოიკვეთა მდინარეზე ხიდის მშენებლობა, ვენახებთან მისასვლელი გზების მოხრეშვა და შიდა სასოფლო გზების მოწესრიგება. თუმცა, სოფელში კვლავ პრობლემად რჩება ღამის განათება, რომელიც არასოდეს ყოფილა ბოლო 30 წლის განმავლობაში.

სასმელი წყლის დებეტმა საგრძნობლად იკლო და ეს სასმელი წყლის მოსახლეობის მომხმარებაზეც აისახა. სოფელში ორი დიდი დასახლებაა ე.წ. „ბეჟიტაანთ უბანი“ და „კერატიანთ უბანი“. ორივე უბნებში სასმელი წყალი შეყვანილია, „კერატიანთ უბანში“ თითქმის ყველა მოსახლეს სახლში აქვს შეყვანილი, „ბეჟიტაანთუბანშიც“ ასევეა, აქ საუბნო ონკანებიც გვაქვს, მაგრამ პრობლემაა ის, რომ ქვემო უბნების დასახლებები უფრო მაღალ ადგილზე მდებარეობს, ვიდრე სოფლის დასაწყისი უბნები, ამიტომაც აქ წყალმომარაგება სხვა დროსაც ჭირს და მითუმეტეს ახლა, როცა ბუნებაში სასმელი წყლის დებეტი დაეცა.

სასოფლო გზები ზოგი კარგია, მაგრამ ზოგი წყალდიდებობით ისეა დაზიანებული, რომ ერთ ქუჩაზე წვიმის დროს ერთ ადგილზე ისე იტბორება, მანქანებს უჭირთ გავლა. ახლა ალბათ ამ საკითსაც ეშველება.

სოფელი გამრიცხველიანებულია, მაგრამ ძაბვა ხშირად დაბალია, ზოგჯერ 170 ვოლტზეა, ჩვენ მივმართეთ შესაბამის ორგანიზაციას და ამ დღეებში აქ ტრანსფორმატორს შეცვლიან.

სოფელი გაზიფიცირებულია. თითქმის ყველა ოჯახს აქვს გაზი შეყვანილი, მაგრამ ბევრსაც გადაუხდელობის გამო გაზის მიწოდება შეჩერებული აქვს.

სოფელში ორი სავაჭრო ობიექტია.

სოფელი აქტიურად იყო ჩართული მთავრობის საგაზაფხულო პროგრამაში – მცირემიწიან ფერმერთა დასახმარებელ პროექტში. აქ 105 ოჯახი დაკმაყოფილდა კომბინირებული ბარათით, ნომინალურით კი – 274. სულ 379 ბარათი მივიღეთ . ამ ბარათებით სოფლის ფერმერთა 76,43 ჰექტარი მიწის ფართობი დამუშავდა.

სტიქიით დაზარალებულმა 200 ოჯახმა საქართველოს მთავრობის დახმარება მიიღო. დახმარება ჯერ-ჯერობით არ მიუღია 15 ოჯახს.

სოფელში გავრცელებული გვარებიდან ჭარბობს კერატიშვილების, ბეჟიტაშვილების, გაგნიაშვილების, დათუნაშვილების, ჩერქეზიშვილების რაოდენობა.

სოფელში მოქმედია ღვთისმშობლის მშობლების ანას და იოაკიმეს სახელობის ეკლესია.

ახალგაზრდობის გვერდით და ახალგაზრდობის თანადგომით

# ახალ თვეს დასუფთავების აქციით იწყებენ

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური სამსახურის ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების ერთ-ერთ ძირითად ამოცანას მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის შინაარსიან გართობა-დასვენებაზე ზრუნვა და მათთვის ამისათვის შესაფერისი გარემო – პირობების შექმნა წარმოადგენს. ამ მიზნის მისაღწევად წლის დასაწყისიდან აქ ბევრი საინტერესო ღონისძიება ჩატარდა, რომლებსაც სათანადო გამოხმაურება მოჰყვა ჩვენი მოსწავლე-ახალგაზრდობის მხრიდან.

მხიარულთა და საზრიანთა კლუბის თამაშებით „გააცილა“ გამგეობის ამ სამსახურმა მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში 14 ივნისი – 2012-2013 სასწავლო წლის დამთავრება. ამ დღეს ქალაქ საგარეჯოს პირველი, მეორე, მესამე და წყაროსთავის საჯარო სკოლების მოსწავლეთა გუნდებს შორის ჩატარდა „კავეენი“, რომელშიც გაიმარჯვა საგარეჯოს I საჯარო სკოლის გუნდმა. მეორე და მესამე ადგილები, შესაბამისად ქალაქის მეორე და მესამე საჯარო სკოლების მოსწავლეებმა გაიყვეს, რისთვისაც ყველა სკოლას გადაეცა შესაბამისი სიგელები. დამატებით, მუნიციპალიტეტის გამგეობამ საჩუქრები გაუკეთა „კავეენში“ მონაწილე ყველა სკოლას და გუნდების საუკეთესო მონაწილეებს, 26 ივნისს კი მათთვის მოაწყო ექსკურსია ვარძიასა და რაბათის ციხეზე.

ივნისში ახალგაზრდულმა სამსახურმა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება მოაწყო, ჩატარდა ტრადიციული ლიტერატურული მარათონი, მუნიციპალიტეტის 15-20 წლიან შემოქმედთა შორის, თუმცა როგორც ჩვენთან საუბარში ახალგაზრდობის საქმეთა მთავარმა სპეციალისტმა ნაზი არჩუაძემ აღნიშნა, დაშვებული იქნა შეღავათი და მარათონში 12-14 წლიანი მოსწავლე-ახალგაზრდებიც იღებდნენ მონაწილეობას. მარათონის შედეგები ივლისის შუა რიცხვებისათვის გახდება ცნობილი და მოეწყობა გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალი.







დასუფთავების აქცია მდ. „თვალთხევზე“

ივლისის დასაწყისისათვის სამსახური კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინიციატივით გამოვიდა – 3 ივლისს თავწმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის შემოგარენში მოეწყო დასუფთავების აქცია. აქციაში სამსახურის მუშაკებთან ერთად, მონაწილეობას იღებდა ყველა მსურველი, რომელთაც ამის შესახებ ფეისბუკის შესაბამისი გვერდიდან შეიტყვეს.

*გ. დაბახიშვილი*

# მხიარული ბანაკი და დასვენება საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში

2013 წლის 17 ივნისს, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლში ამოქმედდა ჩვენი თანამშრომლის, „მშვიდობის კორპუსის მოხალისეს“ ემილი ნიუს მორიგი პროექტი – საზაფხულო დღის ბანაკი, რომელიც 4 მიმართულებით მუშაობს. პირველი — ეკო–ბანაკი, რომელშიც გაერთიანებული იყო საგარეჯოს ოთხივე სკოლის 8 –14 წლის 22 მოსწავლე. ბანაკი მიმდინარეობდა 17–დან 21 ივნისამდე . ბანაკის მიზანი იყო ეკოლოგიის საკითხებით დაინტერესებული მოსწავლეების გაერთიანება, ზრუნვა საკუთარი ქალაქის სისუფთავეზე, ჯანსაღი გარემოს შექმნა. ჯგუფს ხელმძღვანელობდა კერძო სკოლის ბიოლოგიის პედაგოგი ქალბატონი ლელა გუშარაშვილი. მას აქტიურად ეხმარებოდნენ მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლის „თინეიჯერი ლიდერი გოგონები“. დღის წესრიგი ბევრ საინტერესო ინფორმაციას ითვალისწინებდა: მოეწყო დასუფთავების აქციები, რომლის დროსაც ბავშვები დღის განმავლობაში მომზადებულ პოსტერებს აკრავდნენ და აფრთხილებდნენ დიდს და პატარას, რომ არ დაანაგვიანონ ქალაქი., იზრუნონ ჯანსაღი გარემოს შექმნაზე, გაუფრთხილდნენ ცხოველთა და ფრინველთა სამყაროს....

19 ივნისს მეტად საინტერესო შეხვედრა ჰქონდათ ბუნების საკითხებით დაინტერესებულ ახალგაზრდა სტუდენტთან გიორგი ქოქიაურთან, რომელმაც მეტად საინტერესო პრეზენტაცია მოამზადა პატარებისათვის.... ბავშვებმა აქედან გამომდინარე შექმნეს ჩანახატები: „მე რომ გარემოს დაცვის მინისტრი ვიყო“... დაასუფთავეს მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლის მიმდებარე ტერიტორია და დაათვალიერეს თვალთხევის სანაპირო ზოლი,

20 ივნისს მოეწყო ლაშქრობა „სათავე“–ში, წყლის სათავე–ნაგებობების დათვალიერების მიზნით... მათ იმსჯელეს, თუ როგორ უნდა გაუფრთხილდნენ ტყეს და ტყის მასივებს, რათა არ დაიკარგოს მაცოცხლებელი წყალი.... ცოტა გაერთნენ და დღის მეორე ნახევარში, დაბრუნებისა და სადილის შემდეგ ნახეს BBC-ის მიერ გადაღებული დოკუმენტური ფილმი „ცისფერი პლანეტა“, მოეწყო ფილმის განხილვა, დღის ბოლოს კი მინი–კონცერტი და რეპეტიცია სპექტაკლისა „ჭაბუკას შეცდომა“, რომელიც ზუსტად ეკოლოგიურ პრობლემებზე გახლავთ აგებული....




საზაფხულო ბანაკის მონაწილენი



მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ეზოში

21 ივნისს დღე ჩვეულ რეჟიმში დაიწყო... პედაგოგი ლელა გუშარაშვილი ბავშვებს ესაუბრა წყლის დაბინძურების საკითხებზე და პრაქტიკული მეცადინეობაც ჩაუტარა... შემდეგ კი დაიწყო მზადება დახურვისათვის... დღის ბოლოს ბანაკის ბავშვებმა მოამზადეს სამადლობელი წერილები ემილისათვის, პედაგოგისა და ლიდერებისათვის...მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლის თანამშრომლებისათვის... დასასრულს, ბავშვებს და პედაგოგს გადაეცათ სერთიფიკატები ეკო–ბანაკის მუშაობაში აქტიური მონაწილეობისათვის... მთელი კვირის განმავლობაში ბავშვები ცხოვრობდნენ აქტიური შემოქმედებითი ცხოვრებით...

24 – 28 ივნისს მიმდინარეობდა სპორტული ბანაკი, აქაც ქალაქის ოთხივე სკოლის 23 მოსწავლე იყო ჩართული... სპორტული ბანაკს ხელმძღვენელობდა ემილი ნიუ და მას ეხმარებოდა ასევე „მშვიდობის კორპუსის „ მოხალისე დუშეთის მეორე საჯარო სკოლიდან ჯეისონ ბოუდი, რომელიც აქტიურად და საინტერესო პროგრამით შეუერთდა ჩვენს პროექტს... მთელი დღის განმავლობაში სპორტით გატაცებული ბავშვები ვარჯიშობდნენ და სხვადასხვა თამაშებს თამაშობდნენ საგარეჯოს სტადიონზე, № 1 საჯარო სკოლის დარბაზში და სპორტულ მოედნებზე, დაცვის პოლიციის სპორტულ დარბაზში, ჯაფარიძის ქუჩაზე სკვერში არსებულ სპორტულ მოედანზე, საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ეზოში.... მხარდაჭერისა და თანადგომისათვის, პროექტის ხელშეწყობისათვის საგარეჯოს მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლი მადლობას უხდის აღნიშნული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს და ყველა იმ ადამიანს, ვინც ჩვენს პროექტს ეხმარება და კვლავაც დაეხმარება.

1– 5 ივლისს მიმდინარეობდა ინგლისურენოვანი ბანაკი, საინტერესო გაკვეთილებით, ფილმებით, განხილვებით, თამაშებით და მხატვრული პროგრამით. აქაც გაერთიანებული იყო ქალაქის ოთხივე და საგარეჯოს კერძო სკოლის 8–12 წლის 27 მოსწავლე. 4 ივლისი ამერიკის დამოუკიდებლობის დღეა! ეს დღე განსაკუთრებულად აღინიშნა ბანაკში: ბავშვებმა თავიანთ ლიდერებთან ერთად შექმნეს ნახატები – ამერიკის და საქართველოს დროშები, ნახეს ფილმი ამერიკის შექმნის პირველი დღესასწაულის შესახებ, იმსჯელეს, შემდეგ ყველამ ერთად ითამაშა და დღის ბოლოს, როგორც ყოველდღე, ნახეს ფილმი.

ამას მოჰყვა არტ–ბანაკი, რომელიც 8 ივლისიდან დაიწყო და ხატვით, თეატრითა და სიმღერით დაინტერესებული ბავშვები გააერთიანა... მათ მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლის ხატვის წრის, საბავშვო თეატრისა და მხატვრული კითხვის წრის პედაგოგები მოემსახურნენ. ვიმედოვნებთ, რომ ეს ბანაკიც ისევე წარმატებული და მხიარული იქნება, როგორც სხვა ბანაკები...

*თამარ ჯაბადარი,*
***საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მენეჯერი***



საზაფხულო ბანაკის მონაწილენი



მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ეზოს დასუფთავება

## სამოქალაქო განათლება

# გზა სკოლიდან სამოქალაქო საზოგადოებისაკენ

## კლუბი „თანადგომა“


კლუბის მეურვე მანანა გეგელიძე

დემოკრატია, მისი პრინციპები და ღირებულებები მემკვიდრეობით არ გადაეცემა, ისინი არ არსებობს ადამიანის გენეტიკურ კოდში, ამიტომ ყოველმა ახალმა თაობამ უნდა თავიდან ისწავლოს.

სამოქალაქო განათლება ზოგადი განათლების ღერძს წარმოადგენს. მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ თავიანთი უფლება-მოვალეობანი. სამოქალაქო განათლება ეს არის მოქალაქისა და პიროვნების ფორმირების ინსტრუმენტი. მას ოთხი ძირითადი მიზანი აქვს: ადამიანის უფლებების ცოდნა. პირადი და კოლექტიური პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარება,სიმართლის ცოდნა, ეკონომიკის საფუძვლების ცოდნა. ამ ოთხი ძირითადი მიზნის მიღწევის შედეგად ახალგაზრდას საშუალება ექნება აქტიური მონაწილეობა მიიღოს თავისი თემის, ქალაქისა და ქვეყნის ცხოვრებაში.

სამოქალაქო განათლება აყალიბებს მოქალაქეს, ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია ნებისმიერი სახელმწიფოსათვის.

ნინოწმინდის საჯარო სკოლა (დირექტორი ცირა ტეტიაშვილი) ჩართულია სამოქალაქო განათლების ინტერნაციონალ – სამწლიან პროგრამაში.

პროგრამის მიზანია გააუმჯობესოს სამოქალაქო განათლების სასკოლო პროგრამის ხარისხი და გაააქტიუროს მათი მონაწილეობა დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის პროცესში.

პროექტის განხორციელების მეორე წელს პარტნიორ სკოლებში შექმნილია სამოქალაქო კლუბები.

ნინოწმინდის საჯარო სკოლაში 2012 წლის თებერვალში შეიქმნა სამოქალაქო კლუბი „თანადგომა“.

კლუბის დევიზია: „ვისწავლოთ და დავეხმაროთ“.

კლუბის მეურვეა – ამავეს სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების პედაგოგი მანანა გეგელიძე – XXI საუკუნის მასწავლებელი, რომელიც ყოველთვის მზადაა იმისათვის, რომ თანამედროვე, განსხვავებული შესაძლებლობებისა და ღირებულებების მოსწავლეების საჭიროებები და მოლოდინები დააკმაყოფილოს; მისი ობიექტურობა მნიშვნელოვანია, არა მარტო მხოლოდ ეთიკური თვალსაზრისით, არამედ ის დიდწილად განსაზღვრავს სასწავლო პროცესის წარმატებას. ქალბატონმა მანანამ იცის, რომ მისი უმთავრესი ფუნქცია, ცოდნის გადაცემის გარდა, მოსწავლეთა აღზრდა, განათლების გონივრულად და შესაფერის დროს გამოყენების უნარის ჩამოყალიბებაა. თუმცა ნებისმიერი გარჯა ფუჭი და ამაო აღმოჩნდება, თუკი საფუძვლად სულიერება და ზნეობრიობა არ ედება.

კლუბში გაერთიანებულია 18 მოსწავლე: თამთა კონიაშვილი, თამარ გაბარაშვილი, მარი ოკინაშვილი, ნათია ბაირამაშვილი, თათია გრატიაშვილი, ლანა სულიკაშვილი, მარი სულიკაშვილი, ნინო როჭიკაშვილი, ლუკა გორგილაძე, მიშიკო ბაინდურაშვილი, სალომე შიოშვილი, გვანცა ოკინაშვილი, ვახო სუხიაშვილი და სხვა.

კლუბს აქვს დებულება და სამოქალაქო გეგმა, ჩატარებული აქვს უამრავი აქცია-ღონისძიება, კონკურსები, პროექტები:

* „დავასუფთაოთ სკოლის მიმდებარე ტერიტორია“
* „წმ. ნინოს ტაძრის გამწვანება“ (აქცია);
* „შეხვედრა სოფლის ექიმთან“ (აქცია);
* „აქტიური მოქალაქე (ესეების კონკურსი);
* კაბინეტი წყაროსთავის საჯარო სკოლაში;
* „ჩვენ ტოლერანტები ვართ“ (ღონისძიება);
* „ჩვენ ვიცავთ ჩვენს უფლებებს“ (ღონისძიება);
* „კარიერის დაგეგმვა“ (ტრენინგი);
* „საზაფხულო ბანაკი – როგორ გავხდე აქტიური მოქალაქე“.

სამოქალაქო კლუბის მეურვემ მანანა გეგელიძემ აქტიური მუშაობა გასწია მოსწავლეთა ცოდნისა და განწყობის ასამაღლებლად დემოკრატიის ამოცანების მიმართ, ეს კი ქმნის ქვეყნის სამოქალაქო პროცესში მოქალაქეთა კონსტრუქციული მონაწილეობის საფუძველს.

კლუბის წევრები თვლიან, რომ სკოლა საზოგადოების მოდელია. სკოლის დირექტორთან ცირა ტეტიაშვილთან ერთად მონაწილეობდნენ სკოლის პრობლემების გადაწყვეტაში. კლუბის წევრები თვლიან, რომ სკოლა არ არის ადგილი, სადაც მხოლოდ განათლებას იღებენ, არამედ ესაა ადგილი, სადაც განათლების მიღებასთან ერთად ცხოვრობენ, იზრდებიან და პიროვნებად ყალიბდებიან.

საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი არჩევნების ჩამოყალიბებისათვის.

„სკოლა ხომ პატარა სახელმწიფოა და ამ სახელმწიფოს მოქალაქენი მისი აღსაზრდელები არიან. დაე, სკოლა დემოკრატიულად იყოს მოწყობილი. დაე, მისი მართვა, არსებითად,მოსწავლეთა ხელში გადავიდეს, მართვის ცოცხალი პრაქტიკა გამოაწრთობს მოზარდი თაობის მოქალაქეობრივ ხასიათს.

და, ბოლოს იგავით მინდა დავასრულო:

როდესაც ღმერთი თიხისგან ადამიანს ძერწავდა, თურმე თიხის გამოუყენებელი ნაჭერი დარჩა.

– კიდევ რა გამოვძერწო? – ჰკითხა ახლადშექმნილ ადამიანს უფალმა.

– ბედნიერება გამომიძერწე,– სასწრაფოდ სთხოვა კაცმა. შემოქმედმა არაფერი უპასუხა, მხოლოდ მორჩენილი თიხის ნაჭერი ადამიანს ხელისგულზე დაუდო.../

ხელის გულზე დადებული „თიხის მომცრო ნაჭრები“ არიან ჩვენი შვილები, ჩვენი მომავალი თაობა. მათი ბედი მასწავლებლის ხელშია და თუ სწორ ფორმას მოვუძებნით ამ „თიხის მომცრო ნაჭრებს“, ქვეყნის წინსვლასაც საიმედო მომავალი ექნება.

*თამარ ურდულაშვილი,*
***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და სოციალურ საკითხთა კომისიის სპეციალისტი***


კლუბ „თანადგომის“ წევრები

# კლუბი „ავანგარდი“


ლიდერი
ნუცა ბასილაშვილი

საგარეჯოს №4 საჯარო სკოლაში სამოქალაქო განათლების კლუბი „ავანგარდი” 2011 წლის იანვარში დაფუძნდა,რომლის ლიდერია ნუცა ბასილაშვილი

კლუბის მეურვე -სამოქალაქო განათლების მასწავლებელი მთვარისა ბაღათრიშვილი

2012 წლის 29 მარტს სამოქალაქო კლუბის აქტივისტებმა ნუცა ბასილაშვილმა, მაგდა ბალახაშვილმა და საული კუჭოშვილმა ჩაატარეს ტრენინგი თემაზე „პროექტის წერა და მართვა, პროექტის დიზაინი”. აღნიშნული ტრენინგი განხორციელდა პროგრამა „თანატოლთა განათლების” ფარგლებში. ტრენინგს ესწრებოდა საგარეჯოს №4 საჯარო სკოლის X-XI კლასის 15 მოსწავლე. ტრენინგის მსვლელობისას კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ადამიანი თანატოლისგან უკეთ იღებს ინფორმაციას, ვიდრე უფროსისგან. სამოქალაქო კლუბის მიზანია თანატოლებამდე მარტივი, იოლად ასახსნელი და გასაგები გზით მიიტანოს ინფორმაცია.

„თელავის განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრის” და „ თელავის რაიონული პროკურატურის” ინიციატივით ჩატარდა კონკურსი თემაზე „ნარკომანია–დანაშაული თუ ავადმყოფობა”, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ნათია სასწრაფოშვილმა,( ნათია 2011-12 სასწავლო წლებში კლუბის ლიდერი იყო, ამჟამად ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულია). მისმა თემამ მოწონება დაიმსახურა და დაჯილდოვდა სერთიფიკატით.

დევნილ გოგონებს სამი თვის განმავლობაში შევასწავლეთ თექაზე და ბისერებზე მუშაობა,რამაც მათ საშუალება მისცა მოეხდინათ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება.

თელავის სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ინიციტივით ჩატარდა საგარეჯოში „კახეთის შესარჩევი ტურნირი საპარლამენტო დებატების ხელოვნებაში”. მონაწილება მიიღო ორმა მოსწავლემ მაგდა ბალახაშვილმა და ნინო ბასილაშვილმა.

(დებატების თემა „მანდატურის აუცილებლობა სკოლაში”,„საჭიროა თუ არა წლიური გამოცდები”)

სოციალური მედიის 2 დღიანი ტრენინგი გაიარა ჩვენი კლუბის აქტივისტმა საული კუჭოშვილმა, რომელიც ეხებოდა ბლოგის შექმნას. (2011-2012 წწ)

თავისი გამოცდილება გაუზიარეს უკვე დატრენინგებულმა მოსწავლეებმა თავის თანატოლებს და 2013 წელის 22 თებერვალს საგარეჯოს №4 საჯარო სკოლაში ჩატარდა ტრენინგი თემაზე –„სოციალური მედია” . მას ესწრებოდნენ საგარეჯოს რაიონის სკოლების სამოქალაქო კლუბის წევრები ( განხილული იყო შემდეგი საკითხები – „რა არის სოცილური მედია ( რა არის მედია, მასმედია, სოციალური მედია და რა განსხავევებაა სოციალურ და ტრადიციულ მედიას შორის), რა არის ინტერნეტი, რა არის ბლოგი (ტერმინი ბლოგი,ბლოგის წარმოების პლატფორმები, როგორ გავხადოთ საკუთარი ბლოგი წარმატებული), როგორ გამოვიყენოთ საძიებო სისტემა და პრაქტიკული სამუშაოები. ტრენინგს უძღვებოდენ საული კუჭოშვილი (№4 საჯარო სკოლა), დავით კახითელიძე (№1 სკოლა), ქეთი მეიფარიანი(№2 სკოლა), ნინო ბორაშვილი (მანავის საჯარო სკოლა) მარიამ კევლიშვილი(გიორგიწმინდის სკოლა)

წელს მაისი თვეში გამოცხადა ბლოგების კონკურსი – „სოციალური მედია სამოქალქო ინიციატივებისთვის–2013” წარდგენილი გვაქვს ორი ბლოგი – „სასკოლო სამოქალაქო ბლოგი” „მოქალაქე ჟურნალისტი” .

კონკურსი ადამიანის უფლებათა შესახებ – „მე ომბუცმენი 2012” – მონაწილეობა მიიღეს IX1 კლასის მოსწავლეებმა ანი ლალიაშვილმა და კესო კერატიშვილმა. (მეოთხე ადგლი აიღეს) კონკურსი ჩატარდა სახალხო დამცველის ეგიდით.

2012 წლის 12 დეკემბერი– ორი მოსწავლე XII კლ. საული კუჭოშვილი და XI კლასელი მარი ფირყულაშვილი გაირაეს ერთ დღიანი ტრენინგი თემაზე – „კარიერის დაგემვა, სამუშაოს ძიება და სამსახურის ძიებისთვის აუცილებელი უნარ–ჩვევები”. აღნიშნული ტრენინგი მაისის თვეში გაიარა X კლასელმა – ნანა ოტიაშვილმა. დატრენინგებულმა მოსწავლეებმა ახლა თავიანთ თანატოლებს უნდა გაუზიარონ შთაბეჭდილებები.

„დებატებისა და საჯარო გამოსვლების ბანაკი-2012” მასში მონაწილეობა მიიღო XI კლასელმა ნუცა ბასილაშვილმა გამოჩენილი აქტიურობისთვის მიენიჭა თანტოლ–განმანათლებლის კავლიფიკაცია (ორგანიზაციები: ფონდი „საქართველოს ბავშვთა ფედერაცია” და „საქართველოს დებატებისა და განათლების ინსტიტუტი)

ჩვენს მიერ განხორციელებული ღონისძიებები

კლუბის წევრები აქტიურად თანამშრომლობენ დემოკრატიული ჩართულობის ცენტრთან, სადაც ატარებენ სხვადასხვა დისკუსიებს და შეხვედრებს.

დისკუსიები თემებზე

„დოგმები და ღირებულებები” – თემა ეხებოდა გენდერულ თანასწორობას.

განსხვავებული აზრის პრობლემა სკოლაში– თემა ეხებოდა მოსწავლეთა ურთიერთობებს.

რას კითხულობენ მოზარდები – წიგნიერების ამაღლება.

გაწეული აქტიური მუშობისათვის ჩვენი კლუბი 2012 წლის ივნისის თვეში დაჯილდოვდა საკლუბო ტექნიკით: ლეპტოპი, ციფრული ფოტოაპარატი, ფლეშმეხსიერება. (ასევე გადმოგვეცა ცოტა ადრე მარკერული და მაგნიტური დაფები, მაისურები კლუბის ლოგოს გამოსახულებით).

კლუბის მუშაობაში არის ასეთი სტაჟირების პროგრამა. მოსწავლე თავის სურვილის მიხედვით ირჩევს სასურველ სფეროს (კულტურა, სამართალი, ინფრასტრუქტურა და სხვა. ერთი თვის განმავლობაში ეცნობა არჩეულ სფეროში მუშაობის სპეციფიკას. მას უყალიბდება ნათელი წარმოდგენა იმ სტრუქტურის შესახებ. წელს ამ პროგრამაში ანა ლოლაძემ მიიღო მონაწილეობა.

სამოქალაქო კლუბის ჩამოყალიბებამ ხელი შეუწყო მოსწავლეთა გააქტიურებას. ბავშვები გახდნენ უფრო მეტად კრიატიულები. სწავლობენ პრობლემის მოგვარების გზებს, პროექტებზე მუშაობას და მის განხორციელებას. ისწავლეს თანამშრომლობა, ჯგუფური მუშაობა. სწავლობენ დროის რაციონალურ გამოყენებას, საჯარო გამოსვლებს, ეს ყველაფერი სამომავლოდ დიდ დახმარებას გაუწევთ მათ, ჩამოაყალიბონ აქტიური სამოქალაქო საზოგადოება.

*მთვარისა ბაღათრიშვილი*

# ლიტერატურული გვერდი — წვეთი პოეზიისა — ლიტერატურული გვერდი

**როსტომ როსტიაშვილი**

## წამოდი, ჩემთან!

წამოდი, ჩემთან!
მე შენ გაჩვენებ,
აღმოსავლეთს და დასავლეთს ერთად!
წამოდი, ჩემთან!
ბედნიერების დიდ ნისლში გაგხვევ,
თავდავიწყების სივრცეში მცურავს,
გულის ჭრილობებს დავადებ ნახვევს,
ჩემი სიტყვები ყველაფერს კურნავს!
მე დაგანახვებ ჰორიზონტს იქით,
ადამს და ევას იმ ვაშლის ხესთან.
წამოდი, ჩემთან!
ჩვენ გადავსერავთ თეთრი ცხენებით,
ზეცას და იქით რაც არის კიდევ,
ჩაგეჭიდები ორთავ ხელებით,
აღარ დაგკარგავ (არასდროს) ისევ!
მე გაგაკვირვებ ხალასი გრძნობით,
თუ შემადარებ ძალიან ბევრთან,
წამოდი, ჩემთან!
დაგავიწყდება სევდაც და დარდიც
და გაგეხსნება გულის კარები,
გამომიგზავნე შიკრიკი მარდი,
მე გზისკენა მაქვს მუდამ თვალები...
მე გადაგიშლი ლოგინად იებს,
ყაყაჩოებს და გვირილებს ერთად,
წამოდი, ჩემთან!
მე გაპოვნინებ რაც შენ დაკარგე,
ან ვერ იპოვნე ამ ქვეყნად ვერსად
იმას, რაც მხოლოდ ფიქრით დაქარგე
რაც ვერ აქციე ცხოვრების წესად.
მე შენ გასწავლი ფიქრს სიჩუმეში,
დაგაახლოვებ ჭეშმარიტ ღმერთთან,
წამოდი, ჩემთან!
მოვინახულებთ ოკეანის ფსკერს,
მარჯნის ყვავილის გვირგვინს დაგიწნავ,
პოსეიდონი თუ მომთხოვს შენს ხელს,
ხელთათმანებით სილას გავაწნავ.
მე შენ გაცხოვრებ თეთრ ჩალის ქოხში,
სიყვარულთან და სითბოსთან ერთად.
წამოდი, ჩემთან!
ვერ დავბრუნდები ხელცარიელი,
დაგელოდები იმ მაღალ ხესთან,
ჩემთან გიცდიან სახლში ყოველი –
ძაღლიც კი ძაღლიც, წამოდი ჩემთან!
მიმოვილოცოთ ადგილი წმინდა,
მივიდეთ ერთად გოლგოთის თხემთან,
ესაა ბოლო, რაც კი მე მინდა,
წამოდი, ჩემთან! წამოდი, ჩემთან!

* * *

მე მიყვარს ჩემი სამშობლო,
მინდვრები, ჩვენი მთებია.
მხსნელად მოვიდა ბიძინა
მთავრობაშია ძვრებია.
დამნაშავენი გარბიან,
ლამის ქვესკნელში ძვრებიან.
ჩინელებს, ინდოელებსა
მიჰყიდეს მთა და ველია.
ჩვენ რა დაგვრჩება ქართველებს,
იმას არ გვეკითხებიან.
როცა მიწები გაყიდეს
ხალხს არაფერი არ ჰკითხეს.
დავითის ბრძოლით დაცული
ისევ არაბებს მიჰყიდეს.
აქ მოიყვანეს ჩინეთი,
აქ მოჰყავთ მთელი აზია.
ეს ჩვენი პრეზიდენტია
თუ არის შაჰ-აბასია?
თინა, იმედით გიყურებთ,
გარშემო მტრები არიან.
ისე არ დაგვალევინო
ჩვენ ჩაილურის წყალია.
საგარეჯოსაც მიხედე,
იცოდე ცოდვა-ბრალია.

*დათო თოლომაშვილი*

**იამზე მაჭარაშვილი**

## შენ გიმღერ ჩემო სამშობლო

შენ გიმღერ ჩემო სამშობლო,
ჩემო ამერნო, იმერნო,
მხრებგადაშლილო ველებო,
მთებო! გოროზნო, ძლიერნო.
ქართლო, შენ ჩემო აკვანო,
კახეთო – ბარაქიანო,
სვანეთო – ნისლთა საუფლოვ,
ჯიხვთა სამშობლო გქვიანო.
ფშავ-ხევსურეთო, შენს მკერდზე
ბროლის წყარონი დიანო,
ჩანჩქერნი, მთით მოვარდნილნი,
ტკბილ ნანას დაგვძახიანო.
შენ იმერეთო, ლამაზო,
ხასხასა, მთა-გორიანო,
მტკვარო, არაგვო, იორო,
დარიალს თერგის ღრიალო.
კოლხეთის მწვანე დაბლობო
ხოხბების ბუდე გქვიანო.
მიყვარხარ, ჩემო სამშობლოვ
თბილო, ტკბილო და მზიანო.

**თეა გურგენიძე**

* * *

წარსულთან ბრძოლამ,
აჩრდილების დევნამ დამღალა.
ღმერთო მაღალო, ანგელოზი
დამასიზმრო იქნებ ამაღამ;
თორემ ერთიან დამეკარგა
უნარი ბრძოლის
და შენს ფეხებთან
ვემხობი თრთოლვით.

* * *

დაუსრულებელ ლექსს ჰგავს
ცხოვრება ჩემი.
ვერ გამიგია, გამჩენს
რა სურდა ეთქვა.
ვილევი, როგორც ნამი
თაკარა მზეში.
ეს მზე კი არა,
შენი თვალები შემსვამს.

* * *

არ იტირო, თორემ ზეცაც ატირდება
და ცისკარიც ვერ გაახელს თვალს.
იმედია, რომ როგორმე გადაიტან,
თუ ძალიან მოგანატრებ თავს.

* * *

რა საოცარი დილაა,
მზე სხივით ამკობს მთა-გორებს.
მსურს პირი დაგაბანინო,
დილის ნამს წვეთ-წვეთ ვაგროვებ.

## კენტი სანთლით

ნახე, როგორ უხმოდ ტირის ზეცა...
მზემ ღრუბლების აიფარა რიდე.
წახვედი და მომეძალა სევდა
ცრემლი ხელებს უშურველად მივსებს.
ნახე, ხეხილს შემოენთო ალი,
ზვრებს ზღვის ქაფი გადასხმია თითქოს...
მე გრიგალში დავრჩი კენტი სანთლით.
და ოცნებებს ციცქნა ალი მითბობს.
ვიცი, ალბათ დავემსგავსე შეშლილს,
ვიოცნებო?
აღარც შემწევს ძალა.
შენ – გინათებს ცის ბილიკებს ღმერთი,
მე – სარკმელთან კენტი სანთლით ვდგავარ...

* * *

კაცები ქალის შებმის რამდენიმე ვარიანტს განიხილავენ. მთავარია, იმ ქალების რიცხვში არ მოჰყვე, რომელთაც ეჟვნის შებმას უპირებენ.

* * *

ამოსუნთქვისაც მეშინია...
ვაითუ... სული ამოვაყოლო...

* * *

მეიმედები,
მაგრამ არა როგორც ცისკარი,
როგორც ალვა წყლის პირას მდგარი,
ანდა მზის სხივი, ფანჯარაში რომ კეკლუცობდა.
ისე, უბრალოდ, მეიმედები, რომ თუ ცხოვრებამ
გზა-სავალი იით მოქარგა, შენ ერთი მაინც შემხვდები
ეკლად, რომ ნეტარებისგან გამომაფხიზლო.

* * *

ზოგს მზეც ვერ ათბობს,
მავანი კი ღიმილში იწვის...

* * *

შენ თუ გინახავს ზეცის ღიმილი,
გაპობილი ღრუბლის ბაგიდან გადმონთხეული?..

* * *

ღვინომ კი არა,
სიყვარულმა ისე დამათრო,
რომ ციცქნა გულით
დედამიწა ძალმიძს გავათბო.

## სახალხო მთქმელები

მინდა რომ შენზე სიმღერით
ჩონგური ავახმიანო,
სანთლები შენთვის დანთილნი
თითებში მადნებიანო.
იდღეგრძელე და იხარე,
ღვთის აკვანს გეძახიანო,
გიმღერი ჩემო სამშობლო,
შენ საქართველო გქვიანო.

**შალვა ოკინაშვილი**

## ერის ღაღადი

ძაან შორიდან მოვდივარ,
მოვათრევ ღრუბლის ფთილას,
ღამითა ვწერდი იღბლის წიგნს
და თავს უხრიდი დილას.
შემოვედი და დავსახლდი
იორ-ალაზნის პირასა,
გულში მიკრავდა ბუნება,
გადავდიოდი ყირასა.
ეს მიწა შევისისხლხორცე,
თელას ავყარე ლაფანი,
ქედი უკურთხე ხარებსა
და დაუგრძელე ჭაპანი.
გამოვიარე ქვის ხანა,
გვიან მივმართე რკინასა
და მერე ჯვარიც მოვარგე
ჩემს სამოსახლო ბინასა.
ულამაზესი ასული
არ შორდებოდა კერასა,
ქვაზედ ვტვიფრავდი ანბანსა,
ხოტბას ვასხამდი ზენასა.
პირველად ვაზი ვახარე,
აჭრილი უღრან ტყეშია,
გავალამაზე, გავფურჩქნე,
სარი შეუდგი წელშია.
და მერე მისი ნაყოფი
ვამოგზაურე ქვევრშია,
დღესაც იმ ვაზის ნაჟური
გადადის ხელითხელშია.
განმტკიცდა ერისშვილობა,
შუქი იჩინა სულისა
ომებში გამონატარი
წიგნი გვაახლა რჯულისა.
ძნელია მოსაკრეფელად
ნაყოფი სიყვარულისა,
კაცსა გარდაქმნის ნადირად
გულზედ დამჩენი წყლულისა.
ბევრჯერ დამეცა თავზედა
მტერი ურიცხვი, ძლიერი.
გავაძღე მათი სისხლითა
ჩემი ხმლის პირი მშიერი.
„ვეფხისტყაოსნად“ ავყვავდი,
სამის უძლეველის გმირითა,
გვიზიდავს, გვბორკავს, გვაოცებს,
ვითა ცისკარი დილითა.
მოვდივარ, დღესაც მოვდივარ
ამოვარდნილი ქარადა,
აქ დამასახლა გამჩენმა,
ვარდი მიხარა კარადა.
ვერ მომკლეს, თუმცა მაწამეს
სხვათა და სხვათა დარადა,
სისხლით მოვკირწყლე მინდორი
ლომების საომარადა.

## უფალს

გაბრწყინებულა ცის თაღი,
სამყარო იცვლის იერსო,
წამების ჯვარზედ გაკრული
მკვდრეთით აღმდგარა იესო.
ეკლის გვირგვინი დაგადგეს,
სამოსი დაგიხიესო,
კეთილს ბოროტი გიწოდეს
ცოდვის ჭაპანი სწიესო.
ჯალათთა მიმტევებელო,
შუქად უდგები მთიელსო,
დაგაგდეს გოლგოთაზედა,
წყლული არ შეგიხვიესო.
კაენის სისხლით მთვრალებმა,
ეშმაკის ბილიკს სდიესო
დაგიხშეს შვების კარები,
მადლი არ მოგაკმიესო.
უხვად იძლევი საძოვარს,
მიწასა ჰგევხარ ფხვიერსო,
ცად გუგუნებენ ზარები,
შენს სადიდებლად, იესო.
კაცობრიობას ვინც მწყემსავს,
ვინც ავთვალს გვიგერიებსო,
ხმელეთსა ზედა, ცათა შინ
დიდება ყოვლადძლიერსო.
გაგლურსმნეს, გაგაპარტახეს
სიმშვიდე დაგირღვიესო,
სულიდან შუქი განდევნეს,
სიბნელე დაიტიესო.
ჩემს საამაყო ქვეყანას
სიმშვიდე დაურღვიესო,
წილხვედრი მარიამისა
დაშალეს, გააბნიესო.
მამა-პაპათა სადგომი
ბურუსში გაახვიესო,
ჩვენი მუგზული ჩააქრეს,
თავისი გაალვივესო.
მოგვხედე ქართველობასა,
გემუდარები, იესო.

## პროზა

**მაგდა საგინაშვილი**

### ღამე, პარიზი და ის

სავსე მთვარეა. გარეთ უჩვეულო სიცივეა. წვიმს. ფანჯარასთან მივდივარ და ფარდას ვწევ. ხმაურით ეხეთქება წვიმის წვეთები ფანჯარას. აივანზე გასვლა მინდა, მაგრამ სისველე მეზარება. რბილ და თბილ სავარძელს ფანჯარასთან ვაჩოჩებ და ემბრიონის პოზაში, შიგ მჯდომი თბილად ვიკუნტები. თბილი პლედი მახურავს და არაფერი მედარდება ამ წამს. ოდნავ ბჟუტავს კედელზე დამაგრებული ბრიდან გამოსული სინათლე. ფანჯარას თვალს ვუშტერებ. ბრჭყვიალებს ეიფელი. ათასფერი, მოზაიკური სინათლე ღამის ფონზე უწყვეტად ცეკვავს. ეიფელი, კეკლუცი ქალივით ნაზი და მომხიბლავი, ცეცხლოვან ტანგოს სთავაზობს გამვლელთ. სავსე მთვარე ამაყად ამოსდგომია ეიფელს გვერდით. ცივა. საწოლზე ვიხედები და „მას“ ვხედავ. სძინავს. ძლივს შესამჩნევად ვხედავ მის სილუეტს, სახის კონტურებს. მეღიმება. უცოდველი ბავშვივით სძინავს. სათნო ღიმილი დასთამაშებს ბაგეზე. ძალიან შთამბეჭდავი კადრია. მე ის მიყვარს.

მიყვარს „ის“... მიყვარს პარიზი, ღამე, მოცეკვავე ეიფელი, წვიმა და სავსე მთვარე.

ჩემთვის ეს არის ბედნიერება.

### გოგონა მარსიდან

ნელა ახელს თვალს, მთვარეულივით დგება ხის საწოლიდან და სამზარეულოში პერანგისამარა მიფარფატებს. გლუვ ზედაპირზე მხოლოდ პატარა ქოხი ამოჩრილა. ნაცრისფრად გადღვებილ სივრცეში სულიერი არ ჭაჭანებს, გარდა ერთისა... ნაცრისფერ ქოხში მარსელი გოგონა ცხოვრობს, ფერადი იდეებით... გაზქურას ანთებს და მსწრაფლად წვავს კვერცხს. კომპიუტერს რთავს და ფაცებოოკ-ზე დედამიწელებს ადევნებს თვალს, უბრალოდ იღიმის და კომპიუტერს წამებში რთავს. ამ დროს ალბათ დედამიწაზე დღეა, მზე, ნათელი ფერები, ხოლო მარსზე ყველაფერი ნაცრისფერი და შავია, აქ დღეც და ღამეც მუქი ფერებით იწყება. მთავრდება, სასეირნოდ გარეთ გამოდის და გლუვ ზედაპირზე ჯდება. ხარბად ისუნთქავს სუფთა ჰაერს. სუფთას და არა ბოღმით შეზავებულსა და მოწამლულს, ისეთს, როგორიც დედამიწაზეა. უხარია, რომ სასურველს მიაგნო. დედამიწას იხსენებს და კვლავ ეღიმება. იქ ყველა ერთნაირია. გოგონას ბედნიერი, მაგრამ მაინც მარტოობისგან ჩამქრალი თვალები აბრას ჩაშტერებია. ხის აბრა საგულდაგულოდ დაუმაგრებიათ ქოხის წინ. ზედ ლამაზად გამოყვანილი ფერადი ასოებით ორად-ორი სიტყვა იკითხება: „გოგონა მარსიდან“. გოგონა ქოხში შედის, მინის ქილით უკან ბრუნდება. შავ მიწას იღებს, ქილაში ყრის და წარწერასაც ურთავს. მერე სახლში შედის.

ცისფერი შუქი ქრება. ამ დროს დედამიწაზე მთვარეა და ბნელა. მარსზე ისევ ნაცრისფერია, მაგრამ ბედნიერებით შეზავებული.

* * *

მოსაღამოვებულიყო. სიცივე ვიგრძენი თუ არა, იქვე დაგდებულ თხელ მოსაცმელს მივაკითხე, რომელიც მანამდე არც კი მახსოვდა. ფეხები ქვიშით დავიფარე და ხელები გადავიჯვარედინე, ვითომ სიცივის შესაკავებლად. მარტოობა ვიგრძენი, თუმცა სულ არ მიგრძნია შიში, რომელიც ადრე, კოველთვის მახსენებდა თავს, როცა მარტოობა მესტუმრებოდა ხოლმე. პირიქით თითქოს იმისთვის დავიბადე, რომ მარტოობა მარტო არასდროს დამეტოვებინა. მესიმოვნა კიდეც გრილი ნიავი, აჭავლებულ ზღვის ფონზე.ჰორიზონტს ცეცხლისფერი, ჭახჭახა ფერით გაბრდღვიალებული მზე მჭიდროდ მიკვროდა,თითქოს არც უნდოდა წყვიადში ჩაკარგვა. ბროწეულისფერ ღრუბლის ნაფლეთებს მკრთალად შეზავებოდა ცისფერი. ბინდდებოდა. სადღაც ღუზაც ჩაუშვეს. გადღვებილ ცის ნაგლეჯებს ნელა ერეოდა რუხისფერიც. მზე ჩადიოდა. ქვიშაში შევაცურე ხელები. პალმის ტოტები სასიამოვნოდ აშრიალდნენ, თითქოს ცდილობდნენ ჩემამდე რაღაც ისეთის, მაგათ რომ გადახდენიათ ცხოვრებაში და საინტერესოდ მიიჩნიეს მოსაყოლად. წამით დავფიქრდი. მე არც თუ ისე ბევრი მქონდა მოსაყოლი. მზე ჩადიოდა. წამოვდექი და ფეხშიშველი გავუყევი სანაპიროს. სისველე ვიგრძენი.უარესად შემცივდა, თუმცა არც კი მიცდია მოვშორებოდი ზღვას. ასე ახლობელი არასოდეს მომჩვენებია იგი. არ ვიცოდი საით,მაგრამ ვტოვებდი ნაკვალევს. უკანასკნელ სხივებსღა აფრქვევდა მზე ზღვას და თითქოს ნანატრ სხივებს სიყვარულით მჩუქნიდა.

მივდიოდი. გაუჩერებლად. თავადაც არ ვიცოდი საით, მაგრამ ბედნიერი.

კულტურა

# კაკაბეთელი „ბერიკაცები“

კულტურა

მისი შესადარი კულტურის სახლი, რომელიც სოფელ კაკაბეთში 1986 წელს გაიხსნა, ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთის ზონაში ორი არ მოიძებნებოდა. უხაროდათ კაკბეთელებს, ახლომდებარე სოფლების მოსახლეობას – კულტურის კერამ სრული დატვირთვით დაიწყო ფუნქციონირება, თანაც, მაშინდელი „წითელი ოქტომბრის“ სახელობის კოლმეურნეობაში მომღერალთა გუნდიც (შემდეგში ანსამბლი) იყო უკვე ჩამოყალიბებული, რომელსაც ანზორ ბურჯანაძე ხელმძღვანელობდა. გუნდი მხოლოდ



რაიონის მასშტაბით როდი გამოდიოდა სცენაზე – იგი კახეთისთვისაც საამაყო იყო და ყველა ქართველისთვისაც. გუნდმა გაიხსენა, მოძებნა და დაამუშავა ქართული ხალხური სიმღერები, შეისწავლა, სცენაზე გამოიტანა და 80-90-იანი წლების მსმენელს შეახსენა, როგორ სრულდებოდა თავად კაკაბეთელი მიხა ჯიღაურის, ვანო მჭედლიშვილის მიერ შექმნილი და შესრულებული სიმღერები.

„ბერიკაცები“ 1979 წელს შეიქმნა. მასში ის პიროვნებები იყვნენ გაერთიანებული, რომლებიც დღისით კოლმეურნეობის ზვრებსა და მინდვრებში, მესაქონლეობის ფერმებში ფუსფუსებდნენ და კვირაში რამდენიმე საღამოს მოიცლიდნენ და გულდასმით სწავლობდნენ სიმღერებს ან რეპეტიციებს გადიოდნენ. ახლაც ახსოვთ უშანგი მასურაშვილის, მიშა გალუსტოვის, ზაქრო კვეზერელის, ოთარ ჯიღაურის, ჰოვარდ ჯიღაურის, ქორო კუზანაშვილის, გივი გულაღაშვილის „ბერიკაცი ვარ“, „შაშვი-კაკაბი“, „წინწყარო“, „ჰეგიოგა“, „შენ ბიჭო, ანაგურელო“,ტკბილი ქართული ხმებით ნამღერი. ახლა ისინი იმ ქვეყნის მკვიდრნი არიან. მათ გასული საუკუნის 80-90-იან წლებში აქტიური მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ფესტივალებსა და კონკურსებში, კონცერტებში. 1985 წელს ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალში, სადაც I ადგილიც მოიპოვეს და ქართველ და უცხოელ მსმენელს თავი კარგად დაამახსოვრეს. ასევე, მონაწილეობდნენ სხვადასხვა დროს ჩვენი ქვეყნის და მაშინდელი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში გამართულ ფესტივალებსა და კონცერტებში. 1999 წელს მათ მიხა ჯიღაურის სახელობის ფესტივალზე I ადგილი და ფულადი ჯილდოები მიიღეს.

დღეს “ბერიკაცების“ II თაობა ჰყავთ კაკაბეთელებს: ანზორ ბორაშვილი, რეზო კიკილაშვილი, გია ალექსაშვილი, რეზო კვერაშვილი, იგორ სორდია, ნუკრი გიგოშვილი, ჭაბუკა ჭიკაძე, სოსო ოქრომჭედლიშვილი, გიორგი ციქუბაძე. ანსამბლს ფოლკლორული ანსამბლის სტატუსი აქვს. სერტიფიცირებულ ანსამბლს ნიკო გიგოშვილი ხელმძღვანელობს.

ნიკო გიგოშვილმა 1986 წლიდან კაკაბეთის კულტურის სახლში დაიწყო მუშაობა მეთოდისტად, 1986 წლიდან კი იყო ამავე სახლის დირექტორი, აქტიურად მონაწილეობდა ანსამბლის მუშაობაში და 1987 წლიდან ამ ანსამბლის ხელმძღვანელია. 2007 წლიდან 2012 წლის სექტემბრამდე იყო ამავე სოფლის რწმუნებული, შემდეგ, 2013 წლის აპრილამდე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სოფლის მეურნეობის სამსახურის სპეციალისტი, დღეს კი იგი კაკაბეთის საკლუბო მუშაობის სპეციალისტი და ფოლკლორულ ანსამბლ „ბერიკაცების“ უცვლელი ხელმძღვანელია. მასთან ერთად არიან პირველი თაობის „ბერიკაცები“ იური მირზაშვილი, ვარლამ ექვთიმიშვილი.



– მეორე თაობის „ბერიკაცებმა“ 50-ზე მეტი ქართული ხალხური სიმღერა ვიცით, – მითხრა საუბარში ნიკო გიგოშვილმა, – ჩვენს მსმენელს და ჩვენც, ანსამბლის წევრებსაც გვიყვარს სიმღერების: „შემოძახილი“,„ჩაკრულო“, „მრავალჟამიერი“, „გარეკახური საჭიდაო“,„წინ წყარო“, „ჭონა“ შესრულება იმ სიმღერებთან ერთად, რომლებსაც პირველი თაობის „ბერიკაცები“ ვასრულებდით. ამ სიმღერებს ჩემს მიერ დამუშავებული სიმღერაც „სოფლის ბოლოზე ხიდია“ შეუერთდა.

– ჩვენი ანსამბლის თითოეული წევრი დიდი მოკრძალებით და პატივისცემით ექცევა თითოეული ახალი სიმღერის შესწავლას. სიმღერის შესწავლას კი, მოგეხსენებათ, რამდენი დრო, ენერგია სჭირდება, მაგრამ მეორე თაობის „ბერიკაცები“ არასოდეს უვლიან გვერდს ახლის შესწავლას, დახვეწას, – მეუბნება ანსამბლის ხელმძღვანელი ნიკო გიგოშვილი.



– როგორც სერტიფიცირებულ და ფოლკლორულ ანსამბლს, ალბათ ხელფასიც ექნებათ დანიშნული? – დავინტერესდი და კითხვით მივმართე ანსამბლის ხელმძღვანელს ნიკო გიგოშვილს. აღმოჩნდა, რომ ანსამბლის არც ერთ წევრს ხელფასი არ აქვს. ყველა, რომ იტყვიან საზოგადოებრივ საწყისებზე, „მოყვარულთა“ სტატუსით არიან გაერთიანებულნი. ჩოხები,რომლითაც მაყურებლის წინაშე უნდა წარსდგნენ ანსამბლის წევრები – ნათხოვარი აქვთ ხოლმე. არადა, ხშირად და ძალიან ხშირადაც გამოდიან ანსამბლის წევრები რაიონში, სოფლებში მიმდინარე თითქმის ყველა ღონისძიებაზე, არ დაზარდებიან პოეტის საიუბილეო საღამოს, მხატვრის საგამოფენო დარბაზს დაამშვენებენ თავიანთი სიმღერებით და სცენიდან საერო დღესასწაულებსაც მიულოცავენ საგარეჯოელებს.

სამუშაო პირობებზე კი რა გითხრათ,– სოფლის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის ერთ ოთახშია განთავსებული მათი სამუშაო კაბინეტი, სადაც წვიმის წყალმა ჭერი ჩამოანგრია, ამიტომ ხშირ შემთხვევაში ნიკო გიგოშვილის სახლში უწევდათ და უწევთ რეპეტიციები. 2008 წელს ნიკო გიგოშვილის ხელმძღვანელობით აქ კიდევ ერთი ანსამბლი „კაკაბელები“ შეიქმნა, რომელშიც 25 წლამდე ასაკის ახალგაზრდა ვაჟები გაერთიანდნენ. ისინი თორმეტნი არიან – ყველა კაკაბეთიდან. 2009 წელს ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო ფესტივალში „ზღვის ჰარმონია“ და 2009 წელს ამავე ფესტივალზე მეორე ადგილი დაიკავა. მათ კარგად აქვთ დამუშავებული რვა სიმღერა. მაგრამ... ამ ბოლო დროს ერთად ვეღარ იკრიბებიან – ყველა „საშოვარზეა“, ახალგაზრდები არიან, მათ დაინტერესება და ყურადღება სჭირდებათ, ხელის შეწყობა. სწორედ მათ ნამღერშია ქართული სული, მათ სიმღერებშია ის, რამაც ასწლეულებს გაუძლო და ქართველებსაც გააძლებინა, ქართველობა არ დაუკარგა.

# მსაჯთა არაობიექტურობა, რომელმაც კობა მჭედლიშვილსა და თამაზ კირაკოზაშვილს ოქროს მედლები დააკარგვინა

როგორც ცნობილია, 21-23 ივნისს ესტონეთის დედაქალაქ ტალინში ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი ჭაბუკ (1996-97წწ) ძიუდოისტთა შორის. ჩემპიონატში საქართველოს ნაკრების ღირსებას სამი საგარეჯოელი ჭაბუკი: საქართველოს სამგზის ჩემპიონი და წლევანდელი ბრინჯაოს პრიზიორი, ევროპის შარშანდელი ჩემპიონი 60კგ წონით კატეგორიაში, ევროპის, ანტალიისა და კიევის საერთაშორისო თასების ვერცხლის პრიზიორი კობა მჭედლიშვილი, საქართველოს 2006-2013 წლების 8 გზის ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი, ევროპის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი, ევროპის საერთაშორისო ტურნირებისა და ევროპის თასის გამარჯვებული თამაზ კირაკოზაშვილი და საქართველოს წლევანდელი ჩემპიონი, სხვადასხვა საერთაშორისო ასპარეზობის პრიზიორი 66 კგ-ში სიმონ მამარდაშვილი იცავდნენ. მათი ამ ტიტულების აქ მოყვანა იმისათვის დაგვჭირდა, რათა ხაზი გაგვესვა იმისათვის, რომ არც ერთ მათგანს არ აკლდა არც სპორტული მომზადება და არც გამოცდილება ევროპის უმაღლესი ტიტულების დასაკავებლად, განსაკუთრებით კი პირველ ორ მათგანს. თუმცა, როგორც ჩემპიონატმა კიდევ ერთხელ ცხადყო, ყველაფერი მთლად სპორტსმენებზე არ ყოფილა დამოკიდებული და ზოგჯერ მათ წარმატებაში „ლომის წილს“ მსაჯები ასრულებენ. ასე მოხდა ამ ჩემპიონატზეც.

თამაზ კირაკოზაშვილი ევროპის წლევანდელ პირველობაში 73 კგ წონით კატეგორიაში იღებდა მონაწილეობას. მან დაუმარცხებლად განვლო შეხვედრები ნახევარფინალში გადასასვლელ შეხვედრამდე. აქ იგი შეხვდა შარშანდელ ევროპის ჩემპიონს, რუსეთის წარმომადგენელ რუსლან კოდისოვს, რომელთან შეხვედრაში მსაჯებმა (ქართველებს ამ მაღალი რანგის შეხვედრაში საკუთარი მსაჯები არ ჰყოლიათ) არასწორი გაფრთხილება მისცეს და ამით ფაქტიურად გზა გადაუკეტეს საფინალო ბრძოლისაკენ. საგარეჯოელმა გულშემატკივრებმა და თამაზის მწვრთნელებმა ნახეს კიდეც კადრები, რომელშიც მსაჯის ამ არაობიექტურობით ჩემპიონატზე დამსწრე აღშფოთებული თამაზის პაპა – თამაზ კირაკოზაშვილი ტატამზე გადაჭრას ლამობდა და დაცვის სამსახურის წევრები ძალით აკავებდნენ მას.

ასეთი აშკარა უხეშობის მიუხედავად თამაზი დამაჯერებლად ჩაება დამამშვიდებელ შეჯიბრში – იპონით დაამარცხა რუსეთის წარმომადგენელი ზაურ რამაზანოვი, ასევე გერმანელი მეტოქე და ბრინჯაოს მედალს დაეპატრონა, თუმცა, რომ არა მსაჯის ეს არაობიექტურობა, როგორც მამუკა მათიაშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, მას ყველა შანსი გააჩნდა ევროპის ჩემპიონის წოდებისა და ოქროს მედლის მოსაპოვებლად.

მსაჯების არაობიექტურობამ გადაუკეტა ევროპის ჩემპიონობისა და ოქროს მედლისკენ მიმავალი გზა 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე კობა მჭედლიშვილსაც. აღსანიშნავია ის, რომ ამ წონაში მონაწილეობას სიმონ მამარდაშვილიც იღებდა, რის (გაორების) უფლებასაც ძიუდოს თანამედროვე წესები იძლევა.

კაკაბეთელმა ძიუდოისტმა თავიდანვე კარგი სტარტი აიღო: პირველ შეხვედრაში მოუგო ფინელ მეტოქეს, მეორეში ავსტრიელი დაამარცხა, მესამეში ბელორუსიის წარმომადგენელი – ამ წონაში გასული წლის ევროპის ჩემპიონი და ნახევარფინალში გადასასვლელ შეხვედრაში შეხვდა სერბეთის წარმომადგენელ ბერუჩიჩს. როგორც მამუკა მათიაშვილმა ამ ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ გვითხრა (იგი მთელი პირველობის მანძილზე თვალს ადევნებდა თავისი აღზრდილების გამოსვლებს) ბერუჩიჩს კობამ სამი გაფრთხილება მიაღებინა. ბერუჩიჩი მეოთხე გაფრთხილებასა და შეჯიბრებიდან მოხსნასაც იმსახურებდა, მაგრამ მსაჯებმა ეს არ გააკეთეს. ბოლო წუთებზე კობამ ბერუჩიჩი „დააგდო“ კიდეც, მაგრამ აზერბაიჯანელმა მსაჯმა, რომელიც ელოდებოდა თავისი ქვეყნის წარმომადგენლის გამოსვლას ამ წონაში და არ აწყობდა კობას გამარჯვება, მას ეს გდებაც არ ჩაუთვალა.

შემდეგ კი ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც თამაზის შემთხვევაში. კობამ დამაჯერებლად სძლია მესამე ადგილისათვის მებრძოლ მეტოქეებს, ბოლოს დაამარცხა ამ წონაში შარშანდელი ევროპის ვერცხლის პრიზიორი, ბოსნია-ჰერცოგოვინას წარმომადგენელი ზარდო და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.. ასე დაკარგა საქართველოს ნაკრებმა მეორე უდავო ოქროს მედალი. რაც შეეხება სიმონ მამარდაშვილს, იგი ამ ჩემპიონატზე უმედლოდ დარჩა. მიუხედავად ამისა, იგი მაინც გაივლის შეკრებას საქართველოს ნაკრებში და კირაკოზაშვილთან ერთად მონაწილეობას მიიღებს 13-20 ივლისის ევროპის ოლიმპიურ თამაშებში, რომელიც ჰოლანდიის ქალაქ უტრეხტში გაიმართება. ამის შემდგომ სამივე ჩვენს ძიუდოისტს წინ ელოდება მსოფლიო ჩემპიონატი ჭაბუკებში, რომელიც აშშ-ს ქალაქ მაიამიში, ფილას მიერ დამტკიცებული ახალი წესებით გაიმართება. იმედია, ამ შეჯიბრებებზე მაინც აღარ განმეორდება ტალინის პრეცედენტი და ჩვენი ძიუდოისტები საკადრისი ჯილდოებით დაბრუნდებიან საგარეჯოში.

*გ. დაბახიშვილი*

სპორტი

თავისუფალი ჭიდაობა

## ბათუმში, ფარვიზ გაგუას სახელობის ტურნირზე

14-15-16 ივნისს ბათუმში ჩატარებულ ფარვიზ გაგუას სახელობის ტურნირზე თავისუფალ ჭიდაობაში თავი ორმა საგარეჯოელმა მოჭიდავემ ისახელა. მიხეილ ბოჭორიძე ოქროს მედლის მფლობელი გახდა 47 კილოგრამ წონით კატეგორიაში, ხოლო დათო მარტაშვილი მეორე საპრიზო ადგილზე გავიდა თავის წონით კატეგორიაში.

სამბო

## ოქრო, ვერცხლი და ბრინჯაო საქართველოს პირველობიდან

ამასწინათ თბილისში ჩატარდა საქართველოს პირველობა ჭიდაობა სამბოში1997-98 წლიან მოჭიდავეთა შორის, სადაც თავის ძალებს საგარეჯოელი ფალავნებიც სცდიდნენ.

მათგან პირველობის ჩემპიონი და ოქროს სინჯის მედლის მფლობელი გახდა 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე ბექა ტერტერაშვილი.

პირველობის ვერცხლის მედალოსნები გახდნენ ნიკა ყუშიტაშვილი (55 კგ) და ზაქრო წიკლაური (73კგ), ბრინჯაო კი 46 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე ამირან დარბაისელს ხვდა წილად. ჩვენი ეს სამბისტები მონაწილეობას მიიღებენ სამბოში ევროპის პირველობაში, რომელიც მომავალ თვეში ლიტვის დედაქალაქში გაიმართება.

*გ. დაბახიშვილი*

# 2 საუკუნის მძლეველი

## 36525 დღეს 365 დღეც მიემატა



ახალციხის რაიონის სოფელ ვალეში გაატარა თავისი ყმაწვილქალობა დარო ჯინჭველაძე-გიორგაძემ. 74 წელიწადი იცხოვრა იქ, სწორედ იქ გამოლია თავისი ბავშვობა, ყმაწვილქალობა, რძლობაც და ერთადერთი შვილის – მერის (თამარის) დაბადების სიხარულიც. იქ გამოიტირა თავისი პირველი და უკანასკნელი სიყვარული, სამამულო ომის გზებზე მოხალისედ წასული უგზო-უკვლოდ დაკარგული მეუღლე – სოფელ ვალეს სოფსაბჭოს თავმჯდომარე შოთა გიორგაძე. მაშინ თავისი პირმშო 3 წლის იყო. გაზარდა, თავი დასდო მისთვის, ქმრის მოლოდინში სათანადო განათლება მისცა და ბედმა ინება – მისი ერთადერთი შვილი კახეთში გამოთხოვდა. სულიკაშვილების დიდ და ძლიერ გვარს ალამაზებდა მერი თავისი სილამაზითა და კარგი ქალობით, საგარეჯოელ მედიკოსებთან დიდხანს იდგა მოსახლეობის ჯანმრთელობის სადარაჯოზე... მაგრამ... ჯერ ფასდაუდებელი ვაჟკაცი, სიძე დაიტირა მესხმა ქალმა, შემდეგ ის ერთადერთი შვილიც. 28 წელია საგარეჯოში ცხოვრობს. შვილიშვილი უვლის ამაგდარ დედას და ბებოს. 13 ივლისს დიდედას 101 წელი შეუსრულდა.

გასულ წელს ჩვენი გაზეთის მკითხველს დარო ბებოს შესახებ ვრცლად ვუამბეთ. ვწერდით კიდეც, რომ მესხი ქალის ეზოს და სახლს მესხეთიდან ჩამოტანილი ქვით აგებული 300 წლოვანი პეტრე-პავლეს სახელობის ეკლესია გადმოჰყურებს, რომელსაც გასულ წელს ზუსტად 300 წელი შეუსრულდა – დარო ბებოს კი 100. ალბათ სიმბოლურია ისიც, რომ 12 ივლისს პეტრე-პავლეს სახელობის ეკლესიაში რამდენიმე ათეული წლის წინ დადუმებული ზარი ახმიანდა, რომელმაც მართლმადიდებელ მრევლს პირველ წირვაზე მოუხმო და დიდი საეკლესიო დღესასწაული – პეტრე-პავლობა მიულოცა.

**საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის გულითად მილოცვას უერთდება გაზეთ „გარეჯის მაცნეს" მკითხველებიც და დაბადების დღეს ვულოცავთ ქ-ნ დარო გიორგაძეს – ორი საუკუნის მომსწრესა და მის ბიოგრაფიაში მეორე ასწლეულის ათვლის მშვიდობიანად დაწყებას.**

# სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებიდან

## სკოლისაკენ



**ისინი სექტემბრიდან პირველ კლასში ისწავლიან**

საგარეჯოს №1 საბავშვო ბაგა-ბაღში (მენეჯერი მაია კოხტაშვილი) ორმოცდაოთხი წელიწადია პატარების აღზრდას ემსახურება მუსიკის მასწავლებელი ნუნუ ტაბატაძე. ამ ხნის განმავლობაში მან არაერთ ბავშვს შეაყვარა ქართული სიმღერები, მოამზადა არა ერთი სადღესასწაულო ზეიმები. ნუნუ მასწავლებელი ივანელაშვილების რძალია, იმ გვარის, ვის სისხლსა და ხორცში გამჯდარია ქართული სიმღერის მადლი, სიყვარული და ნიჭი. მამამთილი დავითი და მეუღლე მალხაზ ივანელაშვილები საგარეჯოელებისათვის კარგად ცნობილი და ქართული სიმღერების უბადლო შემსრულებელი მამა-შვილია. მათ ხელში ჩამოყალიბდა ფოლკლორული ანსამბლი "გარეჯი", რომლის ხელმძღვანელი დღეს მალხაზ ივანელაშვილია. ნუნუს და მალხაზის სამივე შვილი – ირმა, თამარი და ია მშობლებთან ერთად ქართული ხალხური სიმღერების უზადო შემსრულებლები არიან.

და იმ დღეს, 27 ივნისს, საგარეჯოს №1 ბაგა-ბაღში გამართულ ზეიმზე, რომელშიც ამავე საბავშო ბაგა- ბაღის გამოსაშვები ჯგუფის (მასწავლებელი მერი გზირიშვილი) ბავშვები მონაწილეობდნენ, ზეიმის სულის ჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო ნუნუ მასწავლებელი, რომელიც მისთვის ჩვეული ენერგიითა და შემართებით ახალისებდა აღსაზრდელებს. ერთმანეთს ენაცვლებოდა ლექსი, სიმღერა, ცეკვა," ჩიტის ზღაპარი". აღსაზრდელებს სკოლისკენ მიმავალი გზა დაულოცა მასწავლებელმა მერი გზირიშვილმა, რომელმაც ენერგია და გამოცდილება არ დაიშურა პატარების აღსაზრდელად.

ზეიმზე მოწვეული სტუმრები, მშობლები კმაყოფილებას და აღფრთოვანებას ვერ ვმალავდით, როგორ ლაღად, თავისუფლად ენაცვლებოდნენ ერთმანეთს სკოლისკენ მიმავალი, საბავშო ბაგა-ბაღის აღზრდილები. მადლობა ამ ხალისისათვის, იმ შრომისათვის, რომელიც თქვენ ჩვენი შვილების აღზრდისთვის გასწიეთ, ძვირფასო პედაგოგებო!

ნუნუ მასწავლებელო, დიდი მადლობა ჩვენი შვილების აღზრდისთვის, ბაღში გატარებული დღეების გალამაზებისათვის, მათთვის დახარჯული ენერგიისათვის .გისურვებთ რომ კვლავაც დიდხანს გემღეროთ, გაგეზარდოთ თაობები და კვლავაც მრავალი წელი გაგეხარებინოთ პატარების გულები.

***მშობლები:***

*ირმა ესაიაშვილი, მაია ჯიღაური, ნათია ჭამიაშვილი ნინო ბრატიაშვილი*

# აქ ბავშვები ცურვას სწავლობენ და ჯანმრთელობასაც იკაჟებენ



**საგარეჯოს აიპ 105-ე სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის დირექტორი სოსო მარხვაშვილი**

სწორედაც რომ ასეთი ადგილი, უფრო სწორად დაწესებულებაა საგარეჯოს აიპ 105-ე სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი, რომელიც ქალაქის ქვემო ნაწილში კახეთის გზატკეცილზე მდებარე, ცენტრს ქვემოთ – 100-150 მეტრის მანძილში მდებარეობს. კომუნისტების პერიოდში აშენებულმა და შემდგომ გაპარტახებულმა საცურაო კომპლექსმა ხელახალი სიცოცხლე 2006 წლიდან დაიბრუნა და მას აქეთ წარმატებით ახორციელებს მასზე დაკისრებულ ამ მნიშვნელოვან ფუნქციას. მართალია კომპლექსს წელიწადის ნებისმიერ დროს შეუძლია ფუნქციონირება, მაგრამ სამუშაო პროცესი აქ ძირითადად გაზაფხულის შემდეგ, ზაფხულის სიცხეებისა და მოსწავლეთა არდადეგების პერიოდში იწყება და არა მარტო საგარეჯოელი პატარების საყვარელი გასართობი ადგილი ხდება, არამედ აქ ცურვის სასწავლებლად და სხეულის გასაკაჟებლად მეზობელი მუნიციპალიტეტებიდანაც მოჰყავთ მოზარდები.

ასე იყო 1 ივლისის 11 საათისთვისაც, როცა ამ კომპლექსის მონახულება გადავწყვიტეთ. ნაძვებიან ეზოში ერთმანეთში ირეოდნენ საცურაო აუზიდან გამოსული ბავშვები, მათი მანქანიან-უმანქანო გამცილებლები. ამ დროს თეთრი მარშრუტკით ბავშვების მორიგი ნაკადი მოვიდა – სართიჭალელი პატარები აღმოჩნდნენ, რომლებიც გასულ წელსაც დადიოდნენ ცურვაზე და კმაყოფილები არიან აქ გატარებული დროით. ძველებს თან ახალი შევსებაც მოჰყვა ცურვის შესასწავლად. ფოიეში შეგვხვდნენ კომპლექსის ბუღალტერი თემურ ილაური და ცურვის მასწავლებელი დავით ჭყონია. დირექტორი იოსებ მარხვაშვილი კი თავის კაბინეტში დაგვხვდა და მალე მოიცალა სასაუბროდ. როგორც მან ჩვენთან აღნიშნა, 1 ივლისის მდგომარეობით კომპლექსში ცურვის შემსწავლელი 3 ჯგუფია, რომლებშიც 70-მდე ბავშვია გაერთიანებული – საგარეჯოდან, სართიჭალიდან, ხაშმიდან და სხვა სოფლებიდან.

– წინა წლებში ჩვენთან ცურვის შესასწავლად გურჯაანელებიც დადიოდნენ, – აღნიშნა მან, – მაგრამ წელს იქ საცურაო აუზი გახსნეს და ბავშვები იქ მივიდნენ სამეცადინოდ. სამაგიეროდ მივიღეთ საგარეჯოში სტუმრად მყოფი პოლონელი ბავშვი.

***– ძირითადად რა ასაკის ბავშვებს იღებთ აქ მოსამზადებლად?***

– ჩვენთან ცურვის სასწავლებლად მიიღებიან 6-დან 14 წლამდე ასაკის ბავშვები, როგორც გოგონები, ისე ბიჭები. რადგან კომპლექსის გამაჯანსაღებელი დაწესებულების სტატუსიც აქვს, აქ ექიმების რეკომენდაციით მოჰყავთ ისეთი ბავშვებიც, რომლებსაც აქვთ ქვედა კიდურებისა და ხერხემლის პრობლემები.

***– კი, მაგრამ ასეთ ბავშვებს შესაბამისი სამედიცინო მომსახურებაც სჭირდებათ. გყავთ საამისო კადრები დაწესებულებაში?***

– სამწუხაროდ, ასეთი შტატი კომპლექსში სადღეისოდ არ გვაქვს. ამ 3 წლის წინ გვყავდა მასაჟისტი, მაგრამ რადგან მაშინ აქ მომსვლელთა მცირე კონტიგენტი იყო, ეს შტატი მოგვიხსნეს. ეს ბოლო 2 წელია ბავშვთა რაოდენობამ საგრძნობლად იმატა და მასაჟისტის საჭიროება დადგა დღის წესრიგში, მაგრამ ამ საკითხს ჩვენი ძალებით ვერ გადავწყვეტთ.

***– რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ბავშვების გარდა კომპლექსი უფროსი ასაკის მოყვარულებზეც არის გათვლილი. თუ გყავთ სადღეისოდ ასეთები?***

– ჩვენი სტატუსით კომპლექსში საცურაოდ მოსვლა უფროსებსაც შეუძლიათ, მაგრამ იმის გამო, რომ ავარიულია და არ მუშაობს დიდი ღია აუზი, ამ ასაკის მომსვლელები არ გვყავს და ვერც მივიღებთ. ეგ კი არა და ამ აუზის გაუმართაობის გამო პატარების მეცადინეობის ჩატარებაც მცირე დახურულ დარბაზში გვიწევს.

***– რაიმე ღონისძიებები თუ არის დასახული ღია აუზის მწყობრში ჩასაყენებლად?***

– დიდი აუზი საჭიროებს კაპიტალური რემონტის ჩატარებას. ეს სამუშაო ჩასმულია გეგმაში, მაგრამ სამწუხაროდ, მხოლოდ მომავალი წლიდან განხორციელდება, ისე, რომ ასეთი ხალხის მოსვლას მომავალი წლიდან უნდა ველოდოთ.



***– რა ჯდება თქვენს კომპლექსში ბავშვების მიერ ცურვის შესწავლა და გაკაჟება?***

– ჩვენთან სხვადასხვა სახის აბონემენტები გვაქვს. არის ყოველდღიური, ერთთვიანი აბონემენტი, რომელიც 60 ლარი ღირს. გვაქვს ერთთვიანი – 30 ლარიანი აბონემენტი (დღეგამოშვებით), 30 ლარიანი ორკვირიანი (ყოველდღიური) და 15 ლარიანი ერთკვირიანი აბონემენტი. ერთი სიტყვით აქ აბონემენტების ფართო არჩევანი გვაქვს.

***– კომპლექსის მუშაობის რეჟიმი როგორია?***

– წესით ჩვენ მუშაობას მაისის ბოლოდან ვიწყებთ, მაგრამ რადგან წელს გვიანი გაზაფხული და ცივი ამინდები იყო, ბავშვების მიღება ივნისიდან დავიწყეთ. ბავშვების ვარჯიში ჯერჯერობით 3 საათიდან იწყება გარკვეული ინტერვალებით, რადგან 3 ჯგუფია, მაგრამ თუ მათი რაოდენობა გაიზრდება, 3 საათის ნაცვლად ადრე დავიწყებთ მუშაობას.

***– ამ ბოლო ხანებში ისეთი სიცხეებია, რომ ბავშვების რაოდენობა ნამდვილად გაიზრდება.***

– კი, ამას ჩვენც ველოდებით. თუმცა კომპლექსი სრული დატვირთვით რომ ამოქმედდეს და მოგებაზე იყოს – 200-250 აბონენტია საჭირო. მაშინ ალბათ შევძლებთ წელიწადის სხვა დროებშიც მოვემსახუროთ აქ მომსვლელებს, როგორც ეს ამ რამდენიმე წლის წინ იყო, როცა გარეთ ბარდნიდა და გარეთ აუზში გამთბარ წყალში ხალხი ცურაობდა.

***– ვნახოთ, ნათქვამია კაცი იმედით ცოცხლობსო. ალბათ ეს დროც მალე დადგება. ახლა კი თუ შეიძლება თქვენს საცურაო დარბაზშიც შევიხედოთ, მოცურავე პატარების სურათის გადასაღებად.***

იოსებ მარხვაშვილმა დახურულ დარბაზში ჩემი გამყოლობა თემურ ილაურს დაავალა. აქ, დახურულ აუზში დავით ჭყონიას უკვე ჩაეყვანა სართიჭალელი გოგო-ბიჭები ცურვის სასწავლებლად, თუმცა მათთან ერთად სურათის გადაღებაზე კატეგორიული უარი განაცხადა. მის სახვეწრად არც სურვილი გამაჩნდა და არც შარვალ-ხალათიანი ჩავსულვარ აუზში. ამ პატარების (სურათზე) გული კი ნამდვილად მოვიგე, რომელთაც სიამოვნებით გამიწიეს პოზირება.

*გივი დაბახიშვილი*

# რწყვის სეზონის პრობლემები

**2013 წლის რწყვის სეზონთან დაკავშირებულ პრობლემებზე კომენტარი შპს „საქართველოს გაერთიანებული მელიორაციის სისტემების კომპანიის ქვემო სამგორის სისტემური სამმართველოს“ მთავარ ინჟინერს თემურ ბრატიაშვილს ვთხოვეთ:**

– ქვემო სამგორის სარწყავი სისტემა მიეკუთვნება, როგორც კახეთის რეგიონის, ასევე მთელი საქართველოს უმნიშვნელოვანეს სარწყავ სისტემათა რიცხვს. სისტემა ემსახურებოდა კახეთის ადმინისტრაციულ (საგარეჯოს, გურჯაანისა და სიღნაღის) რაიონებს და ასარწყავებდა 32000 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულს. ასევე დიდ როლს ასრულებდა მაგისტრალურ არხებზე დამონტაჟებული 24 სატუმბო სადგური – მეორადი და მესამე აწევით, რომელთა გაძარცვისა და იძულებითი ჩამოწერის შემდგომ დაიკარგა 9000-მდე ჰექტარი სავარგულის და საკარმიდამო მიწების გასარწყავების შესაძლებლობა. ეს ყოველივე განაპირობა ბოლო 20-23 წლის მიმდინარე პროცესებმა – შეწყდა როგორც სხვა დარგების, ასევე სამელიორაციო თუ ელექტრო კომუნიკაციების არსებობა.

ზემოთაღნიშნული სისტემა წარმოადგენს სათავე-ნაგებობას დაბალწნევიანი ბეტონის გრავიტაციულ კაშხალს ორმხრივი წყალგამშვებით, რომელიც მარაგდება მდინარე იორიდან შესაბამისად სიონის წყალსაცავის მარაგით.

სათავე-ნაგებობიდან გამოდის ორი მაგისტრალური – მარჯვენა და მარცხენა მაგისტრალური არხი, რომელთა შესაბამისი სიგრძეებია 47 და 28 კილომეტრი. ის წარმოადგენს მონოლითური ბეტონისგან რკინა-ბეტონის ფილებით მოპირკეთებულ არხებს. რთული რელიეფური პირობების გამო ღია კვეთები დაკავშირებულია მთელი რიგი ჰიდროტექნიკური ნაგებობებით: აკვედუკი, დიუკერი, ღია და დახურული გალერეა, გვირაბი, ღვარსაშვი, წყალსაგდები, მილი არხის ქვეშ, ხიდების საავტომობილო ტრასაზე და სასოფლო გზებზე.

შპს „საქართველოს გაერთიანებული მელიორაციის სისტემების კომპანიის ქვემო სამგორის სისტემურ სამმართველოს“ ემსახურება 13 ძირითადი მომსახურე პერსონალი. სისტემური სამმართველოს ნორმალური მუშაობისათვის კომპანიამ მიმდინარე სავეგეტაციო რწყვის პერიოდში 7 დროებითი საშტატო ერთეული დაგვიმატა ფუნქცია-მოვალეობის ჯეროვნად შესრულებისათვის. მთლიანი მომსახურე პერსონალის 90% ძველი, გამოცდილი სპეციალისტებითაა დაკომპლექტებული.

სამმართველოს ყოველდღიური მუშაობა განისაზღვრება წყალმომსახურეებთან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე, სადაც მინიშნებულია ამა თუ იმ არხის გამანაწილებლის ნომრის მინიშნება, მრავალწლიანი თუ ერთწლიანი კულტურის აღნიშვნა. ხელშეკრულების საფუძველზე ხდება ბანკთან ურთიერთობა და საფასურის გადახდა. ერთი ჰექტარი მიწის მორწყვის საფასური 75 ლარია. წყალმომსახურე უფლებამოსილია ვეგეტაციის პერიოდში აღნიშნულ ფართობზე ჩაატაროს რწყვის ჯერადობა რამდენჯერაც მოესურვება.

ქვემო სამგორის სისტემის სამმართველოს უფროსი უშანგი თაბაგარია. მარცხენა მაგისტრალურ არხზე დამონტაჟებულია 42 და 15 (XV) რომაული დანომრვის წყალგამშვები, რომელთა საპროექტო ფართობი 6032 ჰექტარია. მიმდინარე წლის სავეგეტაციო რწყვის წყალუზრუნველყოფილი ფართობი 2295 ჰექტარია. მარცხენა მაგისტრალური არხის უფროსია ნოდარ ლაფაჩიშვილი. არხის მთლიანი პერიმეტრი დაყოფილია სამ ზონად, რომლებიც ემსახურება საგარეჯოს რაიონის 14 სოფლის და გურჯაანი-კაჭრეთის უბნის 7 სოფლის სასოფლო-სამეურნეო მიწებს და საკარმიდამო ნაკვეთებს.

მარჯვენა მაგისტრალური არხის საპროექტო ფართობი 8902 ჰექტარია. მიმდინარე წლის მდგომარეობით მოსარწყავი წყალუზრუნველყოფილი ფართობი შეადგენს 3846 ჰექტარს. მაგისტრალური არხის უფროსი დავით ზუკაკიშვილია. ამ არხზეც წყალმომხმარებლებთან მუშაობის გაადვილების მიზნით პერიმეტრი ორ ზონად დავყავით. აღნიშნულ ფართობებს ემსახურება 46 გამანაწილებელი, რომელთა მომსახურეობა 11 სოფლის ტერიტორიას მოიცავს.

წყალუზრუნველყოფილი ფართობის თითქმის განახევრება გამოწვეულია ისეთი გამანაწილებლების უმოქმედობით, როგორიცაა მარჯვენა მაგისტრალური არხის „გ-46“-ის და მარცხენა არხის „გ-42“. ასევე სამეურნეო და შიდა სამეურნეო ქსელები ვერ აკმაყოფილებს მუშაობის პირობას მწყობრიდან გამოსვლის გამო.

დღეის მდგომარეობით მარცხენა მაგისტრალურ არხზე დადებულია 219 ხელშეკრულება 201 ჰა ფართობზე, მარჯვენაზე 245 ხელშეკრულება 2335 ჰა-ზე,.საპროგნოზო გრაფიკს მკვეთრად შეცვლის მრავალწლიანი ნარგავის მორწყვა – იგულისხმება ვენახები. სამომავლოდ ჩატარდება მნიშვნელოვანი სამუშაოები, როგორც ბიუჯეტიდან დაფინანსებით, ასევე სხვა პროგრამებით მთლიანი სისტემის თუ დიდი პირველი რიგის გამანაწილებლების სარეაბილიტაციო-საკონსტრუქციო სამუშაოები, რაც ძირეულად შეცვლის, როგორც გასარწყავებული ფართობების მატებას, ასევე ჩვენი სამსახურისა და წყალმომხმარებლების ურთიერთთანამშრომლობას. გასულ და მიმდინარე წლებში ჩატარებულ იქნა მაგისტრალური არხების წმენდითი სამუშაოები მძიმე ტექნიკით, ასევე მთლიან სიგრძეზე (16.5კმ) გაიწმინდა „ბებერა არხი“, რომელიც სათავეს იღებს ნაკრძალის ბოლო მონაკვეთში და ჩაედინება ჯიმითის დიდ კოლექტორში სოფელ მზისგულის სასაზღვრო ტერიტორიაზე, ამით მოიხსნება 1200 ჰა მიწის მორწყვის პრობლემა.

წლების მანძილზე დიდ უკმაყოფილებას იწვევს მოსახლეობის დამოკიდებულება მთლიანად სამელიორაციო სისტემაზე. მოფრთხილების ნაცვლად იმტვრევა რკინა-ბეტონის ღარები, მწყობრიდან გამოჰყავთ დახურული ქსელები. წყალგამშვები ფარების თვითნებური დარეგულირებით სარემონტოს და აღსადგენს ხდიან შემდგომი მუშაობისათვის. ისედაც კახეთში ხშირია წყალდიდობის საშიშროებები, არც ჩვენი რაიონია გამონაკლისი არსებულ გარემშემორტყმული მთების გამო. დიდია მცირე თუ პატარა ხევების დამანგრეველი ძალები, რომელიც საშიშროებას უქმნის როგორც დასახლებულ პუნქტებს, ასევე სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, შენობა-ნაგებობებს და მაგისტრალურ არხებს ხევების გადაკვეთაზე. ყოველივე ამის თავიდან ასაცილებლად დღის წესრიგში დგება წყალდიდობის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება – ხევების გასწორხაზოვნება, დაღრმავება ანუ ბერმის მოწყობა, დამბის აღდგენა რკინა-ბეტონის კონსტრუქციით თუ ადგილობრივი ქვაღორღით დამზადებული მავთულბადით გაბიონის გაკეთება.

# სურათი, რომელმაც ჩვენი ფეხბურთის წარსული გაგვახსენა

## ფეხბურთი

ფოტოსურათი 1967 წელსაა გადაღებული და მასზე იმ წლის საქართველოს ფეხბურთის I ლიგის გამარჯვებული – საგარეჯოს „გარეჯის“ ფეხბურთელები არიან აღბეჭდილი. ფოტოსურათი რედაქციას ამ გამარჯვების მონაწილემ, ვეტერანმა ფეხბურთელმა ნუგზარ იმედაშვილმა მოგვაწოდა, რომელიც წლების მანძილზე გარეჯელთა ნახევარმცველის ფუნქციას ასრულებდა. გარეჯიდან წასვლის შემდეგაც ბ-ნ ნუგზარს არასოდეს გაუწყვეტია კავშირი ფეხბურთთან – სამხედრო-სავალდებულო სამსახურში მუხროვანის ბაზაზე თუ ბაქოში პარტიული სწავლებისა და შემდეგ მანავის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში პარტიული კომიტეტის მდივნად მუშაობის წლებში ჩამოყალიბებული ჰქონდა ფეხბურთის გუნდები, რომლებიც წარმატებით გამოდიოდნენ სხვადასხვა დონის შეჯიბრებებში. ბ-ნ ნუგზარს ვთხოვეთ გაეხსენებინა 60-იანი წლების საგარეჯოელ ფეხბურთელების მოღვაწეობა.

– საგარეჯოში ფეხბურთის არსებობას საკმაო ხნის ისტორია აქვს. მისი, როგორც სპორტის პოპულარული სახეობის აღმავლობა კი, გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან, საგარეჯოს ქალაქად გამოცხადების დროიდან დაიწყო. ყველაზე ისტორიული და დიდმნიშვნელოვანი მოვლენა ამ ისტორიაში გახლდათ 1964 წელს საგარეჯოში საკუთარი სტადიონის გახსნა, რომელიც მაშინდელი საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ნიკიტა ხრუშჩოვის ბიჭვინთაში საქართველოს უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის ალექსი ინაურის მიერ დაპატიმრების წელს დაემთხვა.

სტადიონი ხატიკაკლების ტერიტორიაზე დამრეც ნიადაგზე მოეწყო, სადაც მიწა „სკრეპერებით“ აიჭრა და მოსწორდა. მწვანე საფარის მოსაწყობად კი ბელტი ხაშმის ბოლოზე იჭრებოდა და აწყობდნენ მოსწორებულ მიწაზე. ამ საქმეში აქტიურად იყვნენ ჩაბმული რაიონის მაშინდელი საშუალო სკოლების უფროსკლასელი ბიჭები. ამ საქმიანობაში მეც ვიღებდი მონაწილეობას, – გვიამბობს ბ-ნი ნუგზარი.

ამ სტადიონის მოწყობა-მშენებლობაში აქტიურად იყო ჩართული მაშინდელი პარტიის საგარეჯოს რაიკომის მდივანი ოთარ საბაშვილი. საერთოდ იგი ფეხბურთის დიდი გულშემატკივარი იყო და თითქმის ყოველდღიურ კონტროლზე ჰყავდა აყვანილი სტადიონის მშენებლობის საქმე. სტადიონის პარალელურად აშენდა შესაბამისი, დღესაც არსებული მაყურებელთა ტრიბუნა – 5000 მაყურებელზე. აშენდა და მოეწყო სადიქტორო ოთახი, საიდანაც სტადიონზე ჩატარებული მატჩების დროს რეპორტაჟებს გადასცემდა საგარეჯოში ყველასათვის ცნობილი პიროვნება, მსახიობი და ადგილობრივი რადიოგადაცემების რედაქტორი ჯორჯი მამისაშვილი. მატჩების ტრანსლიაცია ასევე ხდებოდა რაიონის სოფლებში ადგილობრივი რადიოგადაცემების მეშვეობიაც.




გარდა ამისა, მატჩებზე დასასწრებად იყიდებოდა ბილეთები. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში ვრცელდებოდა სხვადასხვა ვადიანი აბონემენტები. საერთოდ იმ წლებში საგარეჯოში გამართულ მატჩებს არასდროს მოჰკლებია მაყურებელი და გულშემატკივარი.

***– თვითონ ფეხბურთელთა გუნდი „გარეჯი“ როდის ჩამოყალიბდა?***

– „გარეჯი“ სტადიონის მშენებლობამდე იყო ჩამოყალიბებული. სამწუხაროდ წელი ზუსტად არ მახსოვს. ვიცი ის, რომ გუნდის პირველი მწვრთნელი იყო თბილისის „დინამოს“ ყოფილი ფეხბურთელი ბაჩი ჯორბენაძე, რომელიც იმ წლებში ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობაზე მუშაობდა. როცა ეს მშენებლობა დასრულდა, ჯორბენაძე სხვაგან გადავიდა სამუშაოდ, მის მაგივრად „გარეჯის“ მწვრთნელად დაინიშნა ისევ თბილისის „დინამოს“ ყოფილი ფეხბურთელი ჟორა ჭუმბურიძე. 1967 წელს „გარეჯმა“გაიმარჯვა აღმოსავლეთ საქართველოს I ლიგის გუნდებში და უნდა შეხვედროდა დასავლეთ საქართველოს ზონაში გამარჯვებულ გუნდს. ეს გუნდი აღმოჩნდა სამტრედიის „მერცხალი“. ამ დროისათვის „გარეჯს“ უკვე სხვა მწვრთნელი ალიოშა კირვალიძე ედგა სათავეში. ეს ისტორიული შეხვედრა გაიმართა 1967 წელს, სადაც „გარეჯმა“ ანგარიშით 1:0 დაამარცხა „მერცხალი“ და გავხდით საქართველოს ჩემპიონები. ამ წარმატებისათვის „გარეჯის“ ყველა ფეხბურთელს მოგვენიჭა I თანრიგები და გუნდს „ბ“ კლასში გადასვლის პერსპექტივა გაუჩნდა, სადაც უკვე თამაშობდნენ თელავის „ნადიკვარი“, და გურჯაანის „ალაზანი“. თუმცა, ამ შანსის გამოყენება სხვადასხვა ობიექტური მიზეზებით „გარეჯმა“ ვერ შეძლო.

***– კერძოდ, რა იყო ამის მიზეზი?***

– ამის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ფინანსური პრობლემა გახლდათ. „გარეჯი“ რომ „ბ“ კლასში გადასულიყო, მას უნდა ჰქონოდა თანამედროვე საკლუბო გუნდებისნაირი პირობები – საკუთარი ბიუჯეტი, ფეხბურთელთა ხელფასები, გასვლითი თამაშების, სამივლინებო და „ზბორების“ თანხები და ა.შ. რაც მაშინ გუნდს არ გააჩნდა. მაშინდელი გუნდი ე.წ. ნებაყოფლობით საწყისებზე იყო დაფუძნებული, ფეხბურთელები სხვადასხვა ორგანიზაციებში იყვნენ „გაფორმებული“ და იქიდან იღებდნენ მიზერულ ხელფასებს. ერთი სიტყვით, რაიონს გუნდის „ბ“ კლასში შენახვა მაშინ არ შეეძლო და ეს საქმე ჩაიშალა. სამაგიეროდ იმავე წელს ჩვენ გავხდით საქართველოს თასის მფლობელები, ხოლო 1969 წელს ნსს „კოლმეურნეს“ რესპუბლიკური საზოგადოების „ოქროს თავთავის“ თასის მფლობელები.

***– „გარეჯის“ იმჟამინდელი შემადგენლობა თუ გახსოვთ?***

– როგორ არა. ნომერი 1 – მეკარე როლანდ ბერიძე; №2 – ზაურ შარტავა; №3 – რეზო გოცირიძე; №4 – ნუგზარ იმედაშვილი; №5 – ანზორ დავითაშვილი; №6 – გიზო ჩანტლაძე; №7 – ნიკო ბუზარიაშვილი; №8 – ვოვა ხარებოვი; №9 – თამაზ გოშაძე; №10 – მიშა გულისაშვილი; №11 – ოთარ (ტიღა) ჭიაბერაშვილი. სათადარიგო მოთამაშეები იყვნენ: რომან (პელე) ილაური, ედვარდ ალექსაშვილი, ვახტანგ დევდარიანი, სულიკო სტეფანიშვილი, მეკარე გივი მათიაშვილი. გუნდის კაპიტნები იყვნენ რეზო გოცირიძე და გიზო ჩანტლაძე. სხვათა შორის „გარეჯის“ მეკარე როლანდ ბერიძე ჩვენი გუნდიდან თბილისის „დინამოში“ გადაიყვანეს, სადაც თამაშობდა, როგორც „დუბლებში“, ისე ძირითად შემადგენლობაში.

*გივი დაბახიშვილი*

*დასასრული შემდეგ ნომერში*

მართლმადიდებლობა

# პეტრე — დასაბამი მართლმადიდებლობისა, პავლე — ქრისტეს ეკლესიის ფხიზელი მესაჭე

ქრისტეს მოწაფეთა - მოციქულთა შორის მართლმადიდებელი ეკლესია განსაკუთრებულ პატივს ორ მათგანს მიაგებს და მათ თავმოციქულებად სახელსდებს. ესენი არიან - წმ. პეტრე და პავლე, რომელნიც წმ. მღვდელთმთავარ იოანე ოქროპირის სიტყვით „აღემატნენ ყოველგვარ ბუნებას მიწიერსა და ზეციურს. ისინი, ხორცში მყოფნი, აღემატნენ ანგელოსებს... პეტრე - დასაბამი მართლმადიდებლობისა, დიდებული მღვდელთმსახური ეკლესიისა... პავლე - ჭეშმარიტების ჩინებული მქადაგებელი, ქრისტეს ეკლესიის ფხიზელი მესაჭე".

წმ. მოციქული პეტრე, უფროსი ძმა ანდრია მოციქულისა, უფლის ხმობამდე გალილეის ტბასთან მდებარე პატარა ქალაქ ბეთსაიდის მეთევზე იყო. სახელად ადრე სვიმონი ეწოდებოდა. „შენ ხარ სვიმონ, ძე იონა სი, შენ გეწოდოს კეფა, რომელი ითარგმანების: კლდე" ასე უთხრა მას იესო ქრისტემ (იოანე 1.42), როდესაც მიჰხედა. რამოდენიმე ხნის შემდეგ, ვლიდა რა ქრისტე გალილეის ტბის ნაპირთან, კვლავ იხილა პეტრე და ანდრია, რომელნიც ბადეს აგდებდნენ ტბაში. „მოვედით და შემომიდექით მე და გყვნე თქუენ მესათხევლე კაცთა" (მათე 4.19) (კონდაკი 2) - ამ სიტყვებმა, რომლებიც უბრალო მეთევზეებისადმი იყვნენ მიმართულნი, გადაწყვიტეს მათი ბედი. მგზნებარე პეტრე, მხურვალედ მოყვარული უფლისა იესოსი, მაშინვე შეუდგა მას. მალე თვით უფალმა მოინახულა პეტრეს სახლი და მხურვალებისაგან განკურნა მისი სიდედრი (მარკოზი 1.29-31).

ჰქონდა რა უდიდესი რწმენა და ერთგულება, პეტრე, - ერთი მხოლოდ ქრისტეს მოწაფეთაგან - გაკადნიერდება სთხოვოს უფალს: „უფალო... მიბრძანე მე მისლვად შენდა წყალთა ამათ ზედა". უფლის სიტყვისაებრ იგი ნავიდან წყალზე გადმოვიდა და როგორც ხმელეთზე ისე გაეშურა მისკენ. მაგრამ შეეჭვდა რა ღვთიურ შეწევნაში, დანთქმა იწყო. „უფალო, მიხსენ მე!" შესძახა პეტრემ. და ღვთიურმა მოძღვარმაც არ დაახანა, მეყვსეულად განართხო ხელი და კვლავ უკან, ნავში, აიყვანა (მათე 14.28-32) (იკოსი 3). მაგრამ არა მარტო ქარბორბალასა და ქარისაგან იხსნა უფალმა, არამედ მცირედმორწმუნეობისგანაც, ეტყოდა რა „მე ვევედრე მამასა ჩემსა შენთვის, რათა არა მოგაკლდეს სარწმუნოება შენი" (ლუკა 22, 32) (კონდაკი 4).

თაბორის მთაზე პეტრე იაკობსა და იოანესთან ერთად გახდა მოწმე უფლის ღვთიური დიდებისა. დაინახა რა უფალი იესო ქრისტე ფერიცვალებით და ესმა ხმა მამაღმერთისა „ესე არს ძე ჩემი საყუარელი, მაგისი ისმინეთ", პეტრემ განიხარა და წამოიძახა „კეთილ არს ჩუენდა აქა ყოფა " (მარკოზი 9.2-7) (იკოსი 5). ამაზე მოგონება მის ერთ-ერთ ეპისტოლეშია შემორჩენილი (2 პეტრე 1.17-19).

მოახლოვდა რა ჟამი მაცხოვრის მხსნელი ვნებებისა, იერუსალიმისაკენ მიმავალი დაეკითხა იგი თავის მოწაფეებს „თქუენ ვინ გგონიე მე ყოფად?" პეტრემ, მოციქულთა შორის პირველმა, სთქვა: „შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა ცხოველისაი", რისთვისაც უფლისაგან უდიდესი შექება დაიმსახურა: „ნეტარ ხარ შენ, სვიმონ ბარ იონა" („იონა" ქართულად მტრედს ნიშნავს, „ბარ" კი „ძე"-ს, ხოლო მტრედი სულიწმიდის სახეა, ანუ პეტრეს მადლმოსილების გამო სულიწმიდის ძე, შვილობილი უწოდა)... „შენ ხარ კლდე, და ამას



კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი, და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას" (მათე 16.15-18) (იკოსი 1.7). პეტრესეულმა აღმსარებლობამ თავისი გამოძახილი ჰპოვა მოციქულთა სადღესასწაულო საკითხავებში „ქრისტემან შენ პირველი გამოგაჩინა, პეტრე, და საფუძველად სარწმუნოებასა გვირგვინოსანი-გყო შენ". საიდუმლო სერობის უწინარეს სიონის ქორედზე მაცხოვარმა „...მოიღო არდაგი და მოირტყა იგი... და იწყო ბანად ფერხთა მოწაფეთა თვისთა". „უფალო, შენ დამბანა ფერხთა ჩემთა?" შეეწინააღმდეგა პეტრე. „უკუეთუ არა დაგბანნე შენ ფერხნი, არა გაქუნდეს შენ ნაწილი ჩემ თანა" - განუმარტა მას უფალმა. და მაშინ პეტრემ, შიშითა და სიყვარულით მოცულმა, შეჰღაღადა: „უფალო ნუ ხოლო ფერხნი ჩემნი, არამედ ხელნიცა და თავიცა ჩემი" (იოანე 13.3-9) (იკოსი 9).

მოწაფეთაგან მხოლოდ ერთი, პეტრე, გამოექომაგა უფალს გეთსიმანიის ბაღში. აღმოიხადა მახვილი და ერთ იქ მოსულთაგანს მოჰკვეთა ყური, მაგრამ მაცხოვარმა თვით თავისი სიკვდილის წინაც კი იზრუნა და განკურნა ყურმოჭრილი. პეტრე გაჰყვა უფალს კაიაფა მღვდელთმთავრის სახლამდის, მასთან ერთად შევიდა ეზოში და იდგა იქ ცეცხლთან და თბებოდა. მაგრამ სამგზის უარჰყო თავისი ღვთიური მოძღვარი, როცა მასაც ხელს ადებდნენ, როგორც ქრისტეს მოწაფეს: „არა ვიცი კაცი ესე" (მარკოზი 14.71) და როდესაც მესამედ უარჰყოფდა დაინახა რომ უფალი უმზერდა მას და „განვიდა გარე და ტიროდა მწარედ" (ლუკა 22.62) (კონდაკი 10). ერთ-ერთი წმინდა გადმოცემით, მას მერე ყოველთვის, როცა კი მოესმოდა მამლის ყივილი პეტრე თურმე მწარედ ატირდებოდა ხოლმე, მომგონებელი თავისი ამ შეცოდებისა, ისე რომ ხშირი ტირილისაგან თვალის უპესთან სისხლიანი ღარები გაუჩნდა.

მაგრამ არ არსებობს ისეთი ცოდვა, რომელსაც გულმოწყალე უფალი არ ჰპატიებდეს. პეტრეს სინანული იმდენად ძლიერი და ღრმა იყო, რომ აღდგომის შემდეგ უფალი პირველს, მოწაფეთა შორის, პეტრეს ეჩვენა. სამჯერ დაეკითხა პეტრეს: გიყუარ მეა? და სამგზის მიიღო პასუხად: ჰე, უფალო, შენ იცი, რამეთუ მიყუარ შენ (იოანე 21.15-16). იესო ქრისტემ აღადგინა იგი მოციქულის ღირსებაში, ანდო მას დასამწყსველად თავისი სიტყვიერნი ცხოვარნი (იკოსი 11).

უფლის ამაღლების შემდგომ პეტრეს რჩევისაებრ ათორმეტ მოციქულთა შორის შეირაცხა მატათა (საქმე 1.15-26). ამას შემდეგ, სულთმოფენობისას, პეტრე პირველქრისტიანული თემის წინამძღოლი შეიქმნა. მკვდრეთით აღმდგარი უფლის მგზნებარე სიყვარულით შთაგონებული მისი ქადაგება იმდენად ცხოველსმყოფელი ზემოქმედების იყო, რომ ათასობით ადამიანს მოაქცევდა ქრისტეს სარწმუნოებაში (საქმე 2.41; 4.4). საოცარი ნიშები ახლდა პეტრესეული აღმსარებლობის ქრისტესმიერ რწმენას. მკვდრები აღსდგებოდნენ (საქმე 9.40), მკელობელნი და განრღვეულნი განიკურნებოდნენ (საქმე 3.1-8; 9.32-34), დანაშაულში მხილებულნი სულს განუტევებდნენ (საქმე 5.5-10).

ცნობილია წმ. პეტრე მოციქულის ორი კათოლიკე ეპისტოლე (დაახლ. 63 და 67 წწ.). მეორე ეპისტოლეში წერს „უწყი, რამეთუ ადრე ყოფად არს დატევება საყოფელისა ამის ჩემისა , ვითარცა - იგი უფალმან ჩუენმან იესო ქრისტემან მაუწყა მე" (2 პეტრე 1.14), ანუ უფლის სიტყვისაებრ წინასწარმეტყველებს თავის მოახლოებულ აღსასრულს. იმპერატორ ნერონის ბრძანებით პეტრე მოციქული შეიპყრეს და განაჩენად ჯვარცმა გამოუტანეს. სთვლიდა რა უღირსად თავს მიეღო ისეთივე მოწამეობრივი სიკვდილი, როგორც მის მასწავლებელს ჯალათებს სთხოვდა თავქვე ეცვათ ჯვარს, სურდა რა სიკვდილის დროსაც დაეხარა თავი უფლისთვის.

წმ. მოციქული პავლე წარმოშობით ბენიამენის ტომიდან იყო და თავის მოციქულებრივ მსახურებამდის სახელად სავლე ერქვა. კილიკიის ქ. ტარსუში დაბადებული „განსწავლულ ზედმიწევნით მამულითა სჯულითა; მოშურნე ვიყავ ღმრთისათვის", როგორც თვითონვე ამბობდა საკუთარ თავზე, - „ვსდევნიდ ვიდრე სიკუდილამდე, შევჰკრებ და მივსცემდ საპყრობილედ მამათა და დედათა" (საქმე 22.3-4). იგი იწონებდა მთავარდიაკონ სტეფანეს წამებას და მის ქვით ჩამქოლავთა სამოსელსაც კი სდარაჯობდა (საქმე 7.58). 34წ. მღვდელთმთავართა დავალებით იგი ქ. დამასკოში გაემგზავრა რათა იქ თავშეფარებული ქრისტიანები საწამებელად გადაეცა. გზაში ერთი მოვლენა შეემთხვა, რამაც ძირეულად შეცვალა სავლეს ბედი.

როდესაც იგი დამასკოს მიუახლოვდა, იგი ღვთიურმა ნათელმა მოიცვა. ყველა მისი მხლებელი მხედარი ცხენებიდან ქვე ჩამოვარდა, ხოლო სავლეს ესმა ხმა, რომელიც იტყოდა: „საულ, საულ, რა სა მდევნი მე? ფიცხელ არს შენდა წიხნა დეზისა ". სავლე დაეკითხა: შენ ვინ ხარ, უფალო? ხმამ უპასუხა: მე ვარ იესო, რომელსა შენ მდევნი. არამედ აღდეგ და დადეგ ფერხთა შენთა ზედა, რამეთუ ამისთვის გეჩვენე შენ, რათა დაგადგინო შენ მსახურად და მოწამედ, რომელი იხილე და რომელი გიჩუენო შენ (საქმე 26.13-16).

სავლეს მხლებლებს ხმა ესმოდათ, მაგრამ სიტყვებს ვერ არჩევდნენ. ღვთიური ნათებისაგან სავლე დაბრმავდა და უფლის მითითებით გაეშურა დამასკოსაკენ, სადაც ერთი სამოცდაათ მოციქულთაგანი ანანია ცხოვრობდა. ამ უკანასკნელს კი გამოცხადებით ემცნო: აღდეგ შენ ადრე და მივედ უბანსა მას, რომელსა ჰრქვიან მართალი, და მოიძიე ტაძართა მათ იუდასთა სავლე სახელით, ტარსელი (საქმე 9.11). ანანიას მისთვის ხელი უნდა დაესხა და თვალი აეხილებოდა. აღასრულა რა ბრძანებული სავლეს მყის აეხილა თვალი, ნათელს-იღო და ეწოდა სახელად პავლე (იკოსი 2).

## 12 ივლისს აღინიშნა პეტრე-პავლობა, გილოცავთ!

მოიღო რა პავლემ უფლისაგან ბრძანება, ეხარებინა სასუფეველი, იწყო მქადაგებლობა იუდეველებსა და წარმართებში, მონებს შორის და თავისუფლებში, რისთვისაც თავს იდო ხანგრძლივი მოგზაურობები და წარგზავნიდა ეპისტოლეებს. პალესტინასა და მცირე აზიაში, საბერძნეთსა და იტალიაში, ხმელთაშუა ზღვის კუნძულებზე გაისმოდა მოციქულის მგზნებარე სიტყვა (კონდაკი 3, იკოსი 4, კონდაკი 5). კუნძულ კვიპროსზე მოგზაურობისას აღივსება რა წმ. პავლე სულითა წმიდითა დაუშლის მოგვ ელვიმას ანთვიპატ სერგი პავლეს „გარდაქცევად გზათა მათ უფლისათა წრფელთა". პავლე მოციქულის სიტყვისაებრ მოგვი დაბრმავდა და „მიმოვიდოდა და ეძებდა მძღუარსა" (საქმე 13.8-11) (იკოსი 6). დაახლოებით 51წ. პავლე მონაწილეობდა მოციქულთა კრებაში იერუსალიმს. შეკრებილთ პავლემ ამცნო: „რავდენი ქმნა ღმერთმან ნიშები და სასწაულები წარმართთა შორის მათ მიერ" (საქმე 15.12). კრებამ გადაწყვეტილება მიიღო წარმართებისათვის არ დაეძალებინათ მოსეს სჯულის აღსრულება, ხოლო „კეთილსა იქმოდეთ"-ო (საქმე 15.29).

თავის განუწყვეტელ ღვაწლში მრავალი ჭირთათმენა უწევდა წმ. პავლეს. „ჰურიათაგან ხუთ გზის ორმეოცსა ერთი მოკლებული ცემა მოვიღე. სამგზის კუერთხითა ვიეც, ერთ გზის ქვითა განვიტვინე, სამგზის ნავი დამექცა, ღამე და დღე უფსკრულთა შინა დავყავ" (2 კორინთელთა 11.24-25) (იკოსი 10). ფილიპპესა და მაკედონიაში ქადაგებისას შეპყრობილ იქნა და საპყრობილეში ჩაგდებულ. მაგრამ ბორკილდადებულიც განაგრძობდა ლოცვასა და ღვთის დიდებას და შუაღამისას დიდი ძრვა იყო, კარნი განეხვნეს და ბორკილები დასცვივდა (საქმე 16.22-26) (იკოსი 8).

ათენში ქრისტეს ახარებდა „მის მიერ ცხოველ ვართ და ვიქცევით და ვართ" (საქმე 17.28). ამ ქადაგებამ არეოპაგში ახალმოქცეულები შესძინა საქრისტიანოს, მათ შორის მომავალი დიდი ღვთისმეტყველი დიონისე არეოპაგელი. როდესაც მესამე მისიონერული მოგზაურობიდან ბრუნდებოდა პავლე მოციქული კესარიაში შეხვდა აგაბო წინასწარმეტყველს, რომელმაც აიღო პავლეს სარტყელი, „შეიკრა ხელნი და ფერხნი და სთქვა: ამას იტყვის სული წმიდა: კაცი, რომლისა არს სარტყელი ესე, ესრეთ შეკრან იერუსალიემს" (საქმე 21.11) (კონდაკი 11). ამით აგაბომ ბორკილები უწინასწარმეტყველა, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე უნდა ეტარებინა. იერუსალიმში დაბრუნებისას პავლე მოციქული შეიპყრეს და როგორც რომის მოქალაქე კეისრის სამსჯავროზე გაგზავნეს.

აქ, რომში წმ. პავლე პეტრე მოციქულს შეეწეოდა მოქალაქეთა ქრისტიანულ განათლებაში. ერთ-ერთი გადმოცემით მან მოაქცია იმპერატორის მეღვინეთუხუცესი, რისთვისაც სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს. წმინდა მოციქულმა სიცოცხლე თავისკვეთით დაასრულა.

ზოგიერთი მოწმობით პეტრე და პავლე მოციქულები ერთ დღეს აღესრულნენ მოწამეობრივად, სხვა გადმოცემით - პავლეს სრული ერთი წლის შემდეგ მოკვეთეს მახვილით თავი პეტრეს ჯვარცმის შემდგომ. მათი ხსენების დღესასწაული იმთავადვე დაწესდა, ხოლო დაკრძალვის ადგილი წმინდა იყო პირველქრისტეანთათვის. IVს. წმ. მოციქულთასწორმა კონსტანტინე დიდმა რომსა და კონსტანტინეპოლში აღმართა ტაძრები წმ. თავთა მოციქულთა პეტრესა და პავლეს სახელზე.

***რუსულიდან თარგმნა დეკანოზმა***
*არჩილ მინდიაშვილმა*

სიახლე

## მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში მშობლების მიმართ სანქციები მკაცრდება

მშობლების მიმართ, რომლებიც არასრულწლოვანი ბავშვების აღზრდის მოვალეობას ვერ ასრულებენ, სანქციები მკაცრდება. ამ მიმართულებით დაწესებული ჯარიმების გაზრდის ინიციატივით პარლამენტს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიმართა. ცვლილებები "ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში" შედის.

დღეს მოქმედი კოდექსის თანახმად, მშობლების ან მათი შემცვლელი პირების მიერ არასრულწლოვანი ბავშვების აღზრდისა და სწავლების მოვალეობათა ბოროტად შეუსრულებლობა, არასრულწლოვნის მიერ ნარკოტიკულ ნივთიერებათა ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარება ან მათ მიერ სხვა სამართალდარღვევის ჩადენა - საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მთვრალ მდგომარეობაში ყოფნა, სპირტიანი სასმელების მიღება, იწვევს მშობლების ან მათ შემცვლელ პირთა გაფრთხილებას ან დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით. პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტის თანახმად კი, 200 ლარიანი ჯარიმა 500 ლარამდე იზრდება.

გარდა ამისა, კანონის შესაბამის მუხლს ემატება ახალი ნორმა, რომელიც აღნიშნული სამართალდარღვევის წლის განმავლობაში გამეორებას შეეხება და მასზე სანქციას 800 ლარის ოდენობით აწესებს.

ასევე, ადმინისტრაციული სანქცია მკაცრდება და 300 ლარით განისაზღვრება ისეთ შემთხვევაზე, თუკი მშობლის ან სხვა პირის მხრიდან ადგილი აქვს არასრულწლოვანის დათრობას. დღეს ეს ქმედება იწვევს დაჯარიმებას ანაზღაურების ერთიდან ორ მინიმალურ ოდენობამდე.

ხსოვნა

## ოთარ გულადაშვილი



ძმაო, 16 წელი შეგისრულდა 19 ივლისს შენი წასვლიდან. ამ 16 წელში ბევრი რამ შეიცვალა, გაიზარდნენ შენი ნაფერებ-ნალოლიავები შვილები, ყველას თავთავიანთი, ძვირფასი ოჯახები აქვთ. 10 შვილიშვილი შეგეძინა, მაგრამ შენს თვალებს არც ერთი უნახია. მოგივიდა მშობელი მამა შენი შვილების სიკეთის მახარობლად – პირნათლად შეგხვდებოდა, მან ხომ შენი ოთხი შვილი ისე დაგიბინავა, ისეთი შვილები გაგიზარდა იმ მოხუცმა მამამ, რომ შვილმკვდარ მამას სიცოცხლის გაგრძელება ანატრებინეს. მშობელმა მამამ ჯერ შვილებს დაგვდო დიდი ამაგი და მერე შვილთაშვილებს, პირნათელი, ვალმოხდილი სამუდამოდ გამოგვეთხოვა – ნათელში გამყოფოს ღმერთმა, ამაგდარო მამა. საამაყო გაქვს ამქვეყნიდან გასულს ძმაო, ძვირფასი შვილები რომ დაგვიტოვე მოსაფერებლად, მათში ცოცხლობს ჩვენი სიყვარული შენდამი.

ჩემო დიდო ტკივილო, მოურჩენელო იარავ, ჩვენი სიხარულის წერტილის ჩამქრობო. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

*შენი დები*

ჩვენი თანამოქალაქე

ფერები – ბუმი... მშვიდი...

# მხატვარი, რომელსაც მხატვრობაზე არ აქვს პრეტენზია



**_დაზუსტებული მონაცემებით ქალაქ საგარეჯოში 12658 კაცი ცხოვრობს და 3500 ოჯახი. ყოველდღიურად ვხვდებით ერთმანეთს, ვესალმებით, მოვიკითხავთ, მაგრამ ერთმანეთზე ცოტა რამ თუ ვიცით... ზოგჯერ ესალმები იმიტომ, რომ საგარეჯოელია, ყოველდღე ხვდები, ეჩვევი და რაღაცნაირად გიშინაურდება ადამიანი, რომლის გვარი და სახელიც არ იცი... ამ შემხვედრში ბევრი ისეთი გხვდება, რომელიც რაღაცით, სულ მცირეოდენით არის გამორჩეული ჩვენგან, ჩვეულებრივი ადამიანებისგან – თავისი ოცნებებით, ამ ოცნებების რეალიზების გზებით, თავისი ნიჭით, შემოქმედებით, თუნდაც კარგი ქალობითა და კარგი კაცობით..._**

**_არადა, მართლაცდა იცით რამდენია ჩვენს გარშემო, საინტერესო ცხოვრებით მცხოვრები, ირგვლივმყოფთ რომ ულამაზებს, უხალისებს და უადვილებს ცხოვრებას?!_**

მოდით და ჩვენც ერთმანეთს დავანახოთ ასეთი ადამიანები, გავაცნოთ და ვიამაყოთ მათით, აი, ერთ-ერთი მათგანიც.

**ირმა შველიძე** საგარეჯოელია. მისთვის საგარეჯო ჯერ დედულეთი იყო, შემდეგ აქ დაფუძნდნენ და თვითონაც აქ ჰპოვა თავისი ცხოვრების თანამგზავრი. დედამთილ-მამამთილის გივი და ცინარი მთავრიშვილების ლამაზ, ქართულ ოჯახში მართლაც და სიყვარულით და სითბოთი შეხვდნენ მაზლი და უფროსი რძალიც. მთავრიშვილების საოჯახო ტრადიცია დღესაც გრძელდება – ერთ სახლში ცხოვრობს ორი ძმა ოჯახებით და მშობლები – სულ 10 მთავრიშვილი. ასე დახვედრია ცინარისაც ოჯახი – დიდი, თბილი, ტკბილი, სტუმართმოყვარე და ურთიერთმოყვარე.

ერთ ლამაზ, მზისგან და ღვთის მადლით განათებულ სახლში ოთხი პატარა მთავრიშვილი იზრდება – ბიძაშვილები. ოთხივე მოკრძალებით უფრთხილდება ირმას ნამუშევრებს, დაწყებული ლამაზი, ფუმფულა ბალიშებით, ასევე, მოქარგულ ბალიშისპირებსა და ნახატებს, რომლებსაც მნახველი ისეთ სამყაროში გადაჰყავს, სადაც სულიერი სიმშვიდე ეუფლება, სადაც სიწყნარე და ისეთი სიმშვიდეა, ტალღების ხმაც რომ გესმის და გამშვიდებს, ტალღებზე მოტორტმანე გემის თავზე გადაფრენილი ფრთებგაშლილი ფრინველებიც სიმშვიდეს გგვრიან, ამ პატარა ქოხში შესვლაც მოგინდება, რადგან ტბის პირას ბუნებაში მდგარი ეს პატარა თავშესაფარი სულიერ მღელვარებასაც დაგიმშვიდებს და თბილ კერიასაც შემოგაგებებს. უყურებ ნახატებს და გრძნობ, რომ ბუნება ხელთუქმნელია, ეს ნახატები ადამიანის გარეშე უფრო დახვეწილია და უფრო თვითმყოფადი, მას მართლაც მხოლოდ ცისკამარაზე მონავარდე ფრინველები და ის ირემი უხდება, ვისიც თავშესაფარია ეს ტყე და ხეობა, ფრინველთა საუფლო – ცისკაბადონი.

ირმას თვითონ არ მოსწონს ბუნებაში, პეიზაჟებში ადამიანის ჩართვა.

– როცა ტილოს ვჭიმავ, წინასწარ ვხედავ, სად როგორი ხაზი უნდა გავავლო, რა ფერის, მე მხოლოდ ფუნჯით „ვაფერადებ“ ტილოზე ჩემი თვალით დანახულ გამოსახულებებს, ვხატავდი ბუმბულით, – მეუბნება ირმა, – ამ ბოლო დროს კი ძალიან მომინდა თითით ნახატების შექმნა და საოცარი ის არის, რომ არც დავფიქრებულვარ, აი, ეს დიდი ნახატი (ზღვაზე და ზღვის ტალღებზე მოტორტმანე გემზე მითითებს) ორ საათში დავხატე. მე ვერ აგიხსნით, მაგრამ, უცბად, ძალიან უცბად მომინდა ხატვა და ვიცოდი რაც უნდა დამეხატა...





ირმამ ხატვა 22 წლის ასაკში სერიოზულად მაშინ დაიწყო, როცა უკვე საბანკო-საფინანსო ინსტიტუტს ამთავრებდა. თბილისში მეზობლად მხატვარი შალვა მამისაშვილი ცხოვრობდა და მან მართლაც „სერიოზული“ რამ შენიშნა ირმას ნახატებში. ირმა პირველად არასერიოზულად უყურებდა თავის ამ სურვილებს – დაეხატა ის, რისი დახატვაც მოუნდებოდა. იქნებ ახლა ვერც იხსენებს, რატომ დახატა ლამპა, წიგნი, სათვალე, მაგრამ როცა მესაუბრებოდა, მივხვდი, რომ ამით თითქოს „მადლობა მოუხადა“ ლამპას, რომლის შუქზეც სტუდენტობის წლები გაატარა, წიგნს – რომელმაც ბევრი რამ ასწავლა და სათვალეს, იმ სათვალიან ქალბატონს, ვისიც იყო ნათხოვარი ლამპა. ან იქნებ ეს წიგნიანი გოგონა თვითონაა, გულმოდგინედ რომ სწავლობდა, კითხულობდა, მეცადინეობდა?! თუმცა, როგორც თვითონ მითხრა, პორტრეტების ხატვა არ უყვარს.

ერთ-ერთი გამოფენისათვის 70 ნახატი მაინც უნდა ჰქონოდა. მხატვარმა შალვა მამისაშვილმა ერთ-ერთ ნახატზე „თბილისის უბანი“ ქალი დაახატვინა – ასე ითხოვს ხოლმე ნახატიო. ირმას ახლაც ასე სჯერა – ეს ქალი რაღაცნაირად უცნაურად ეჩევენება, აქ მისი „ადგილი“ არ არის, ირმასთვის მის გარეშე უფრო მრავლისმეტყველია ნახატი. ასევე „უხერხულობას“ ქმნის ირმასთვის ტყეში სახედარი და მისი პატრონი, რომელიც იმავე მხატვრის დაჟინებული მოთხოვნით დახატა.

ირმას ნახატების პერსონალური გამოფენა ცისფერ გალერეაში მოეწყო. ინტერესით შემოდიოდა დამთვალიერებელი. ირმა გულისყურით უსმენდა პროფესიონალი მხატვრების შეფასებებს. ერთი რამ თვალსაჩინო იყო – მათ არანაირი შენიშვნა არ ჰქონდათ თვითნასწავლი, უფრო სწორად კი – ღვთითბოძებული ნიჭით დაჯილდოებული მხატვრის მიმართ. ერთი ეგ იყო – მათი აზრი ორად იყო გაყოფილი – ირმას სწავლა სამხატვრო აკადემიაში უნდა გაეგრძელებინა, მაგრამ პროფესორმა ციციშვილმა ჭეშმარიტება უთხრა: შენ გაქვს ის, რაც ღმერთმა გიბოძა, აკადემიაში სწავლამ შეიძლება ეს ღვთისგან ნაბოძები სულ დაგაკარგვინოს ან ხელი გაგაუხეშებინოსო. თუმცა, არც ირმას ჰქონია ინტერესი სამხატვრო აკადემიაში სწავლის გაგრძელების.



თელავში ნახატების გამოფენაზე ფრანგებმა დიდი შეფასება მისცეს ირმას ნამუშევრებს, რამდენიმე ნახატი შეიძინეს და ირმა ახლაც იმას ამბობს, რომ მის ნახატებს მისი სულის ნაწილი გაჰყვა, არ უყვარს ირმას ნახატების გაჩუქება და მით უმეტეს – გაყიდვა. ის მისი სულის, მისი სხეულის ნაწილია და თუ ყოველდღე არ შეხედა, ვერ ისვენებს. მაშინ სპეციალისტებმა ირმას მიერ ექვსი ფერით დახატულ ნახატში 54 ფერი ამოთვალეს. თუმცა ირმა არც ფერებს ითვლის არც ყურადღებას ამახვილებს – სად, რა, რომელი ფერი დასვას – ფუნჯი თავისით პოულობს ფერებს და ადგილს.

სიამოვნებით იხსენებს ირმა პოლიტექნიკურ კოლეჯში, ქალაქის გამგეობაში გამოფენილი მისი ნახატების შეფასებებს.

ირმა საგარეჯოს IV საჯარო სკოლის დაწყებითი განათლების პედაგოგია. ძალიან უყვარს თავისი მეორეკლესელები. მადლობს უფალს, რომ მეორე პროფესია – პედაგოგობა აირჩია და არა ფინანსისტობა. ბევრზე ბევრი რამ მიაქვს თავის მოსწავლეებთან ირმას. 2001 წლიდან ჯერ ხელოვნების საათები ჰქონდა. მისი მოსწავლეები მონაწილეობას იღებდნენ კონფერენციებში და საკმაოდ წარმატებულადაც. ნინო დარბაისელმა პროფესიად მხატვრობა აირჩია. ტყუპი დები ჯამალაშვილებიც ხატვას გაყვნენ, მოსწავლეობის დროს ისინიც და ჯემიკო მეზვრიშვილიც გრანტებს იღებდნენ... ირმას ჩატარებულ ხელოვნების გაკვეთილები მართლაც რომ საჩვენებელი იყო, ყველა და არა მხოლოდ ერთი და ორი. ამის მოწმე საგარეჯოს IV საჯარო სკოლის მოსწავლეები და პედაგოგებიც შეიქმნენ, როცა ირმამ ღია გაკვეთილი ჩაატარა გერმანელი სტუმრებისათვის. ამ გაკვეთილზე ერთ-ერთმა სტუმარმა ირმას მადლობა მოუხადა – პირველი შემთხვევაა, პირველად დავხატე მე, სხვა დროს არასოდეს სწორი ხაზიც კი არა გამივლიაო და ეს თქვენი დამსახურებაა, თქვენ ისე დაიწყეთ მოსწავლეებთან ერთად ხატვა, რომ მეც უნებლიედ მოვკიდე ხელი ფანქარს და არასწორი ხაზების ნაცვლად მეც თბილისის უბანი დავხატეო.

ირმას მეუღლე ზურა თავის თავს შეიძლება ხელოსანს უწოდებდეს, მაგრამ ის, რასაც ამ სურათზე ხედავთ, ძვირფასო მკითხველო და რაც სხვა ოთახში ვნახე, ალბათ შემოქმედ ადამიანს თუ შეუძლია შექმნას. დიახ, ეს ლამაზი თაროები, კომპიუტერის მაგიდა, გარდერობები სწორედ ზურას ხელითაა გაკეთებული. რესტავრირებული აქვს ძველი, უძველესი ავეჯი: სერვანტები, ჭურჭლის კარადები, ტახტი (სამეული), პიანინო და ეს ყველაფერი ერთ ლამაზ ოთახში ირმას ნახატებთან ერთად განთავსებული. ეს ქართული ჩუქურთმებია, ქართული გრავიურები, სხვამ თუ გაიმეტა გადასყრელად, ვერ შეელეოდა ვერც ირმა და ვერც ზურა. დიახ, ყოველივე ქართულის სიყვარულს და პატივისცემას ასწავლიან თავიანთ შვილებს მთავრიშვილები და თავადაც ქართულ ტრადიციებს მისდევენ – სანამ საკუთარ ჭერქვეშ გადასვლას მოახერხებდნენ ირმა და ზურა თავიანთი თვალხატულა ხატიათი და მაგდათი, ერთ დიდ, ლამაზ, სანაქებო ქართულ ოჯახად ცხოვრობენ, ერთი კერიის სითბოსა და ერთი სახლის მფარველ ანგელოზს შეფარებულები.





ზურას ხელით გაკეთებული კუთხე

რეკლამა

ფერადი ბეჭდვა მაისურზე, ჭიქაზე, ზურგჩანთაზე, ტორტზე და ა.შ.

ფერადი ქსეროქსი ფოტოგრაფიული ხარისხით;

ბეჭდვა მაისურზე, ჭიქაზე, ქვაზე, ზურგჩანთაზე, ტორტზე და ა.შ. სრული ინფორმაცია საიტზე: WWW.mad-studio.ge.

ქ. საგარეჯო. ტელ:
571 717 889;
599 17 26 22.

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი:
თინათინ ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.
ტელეფონები: 24-32-07 599 502 842
599 851 143
ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru